

Digitized by  
Digitized by

# ՑՈՆՆԱՀԱՍՈ



ԺՄՌՆԱԼ ՝ “ՀԵՇՈՂՈՂՈՏԱ”

I	Դյուրա մռմուրինեց! Խորատո . . . . .	130
II	Յուրացըլո շախագեցնուլո, լոյթի և պազարաւունք . . . . .	131
III	Շախագեցնուլո լցունա! “Հաճատլոցին” սասպացլոցնունք . . . . .	132
IV	Շորավիրու, օչ. շահակութաւունք (Ցյուլդեցը ունենաւունք) . . . . .	134
V	Հարարա լուրոյու (Ծրանցուլունքան) . . . . .	141
VI	Տոնաս ծարյանու, ամեացու տամարա տառեսն-մռայրացընքունք . . . . .	148
VII	Ալցունա, հայոն հայուղունան. (Ցյուլդեցը ունենաւունք) . . . . .	159
	Ճ. Շ. Քըրյալամյունունք . . . . .	159
VIII	Ֆըրմունմանունք: Համուրանցնունք, հռեծունք . . . . .	169
<hr/>		
IX	Տաճարացնունք լոյթի և մատ մժամյեցնունք . . . . .	171
X	Շոու մռայլունք, (մուսու 30 վառունք մռայլացնունք) . . . . .	173
	Ճ. Ճաճամյունունք . . . . .	173
XI	Բուրու կազմակերպունք, լոյթի գույնունք . . . . .	174
XII	Հռոցունք ատամանունք միջ ալճարամունք ծարյանս, օջ. ալ- էսթամյունունք . . . . .	175
XIII	Շոլոյունք սաուլունք յու. Ք—ունք . . . . .	178
XIV	Մառածունք ծրանցա պարագանունք մռարունք, օյու նայա- մանունք . . . . .	182
XV	Ամսալունքունք լա մուսու Շոնացընք պարագանունք, (Ցագրայ- լունք) ճ. յու—ունք . . . . .	188
XVI	Տեղա լա տեղա ամեցնունք . . . . .	191

---

“ՀԵՇՈՂՈՂՈՏԱ” - ԶԵ

ՑՈՆՆԱՀԱՍՈ ԿԵՂԱԿԱՆ ԹՈՎԵՒՆԱ

1915 ՎԼՈՒՆՔ.

საქონლები  
ათ-მილიანი

# საემაწევილო ნახატებიანი ჟურნალი

იზარდება მწვანე ჯეკილო,  
დაპურის განმიზნილობა.



მარტი, 1915 წ.

♦ წელიწადი მეოცდაექვსე ♦

თბილისი

ელექტრომბეჭდავი „შრომა“, მუხრანის ქ. № 12.

1915

1880-1890  
1880-1890



ГРУЗИКА  
ГРУЗИКА  
ГРУЗИКА  
ГРУЗИКА

დედა მოიტანეთ!

# პირველი გაზაფხული




ამთრის სულის ამომრთმეცი  
გაზაფხული კარზედ არი;  
სასიამოთ ემზადება  
ფრთა გამლილი მთა და ბარი.

ცას ღრუბელი გაზღუცლია,  
მსიარელობს გული ჩვენი,  
მზეც საამოთ გადმოგვურებს,  
სელ-გამლილათ სხივთა მფენი,

ტექს კვირტები დაებერა,  
მინდორს დაჭკრავს მწვანე ფერი,  
გაზმაც ცრემლი მოამზადა,—

გაზაფხულს გრძნობს უველავერი.  
ხვალ მერცხალიც მოფრინდება  
გაზაფხულის ტურფა შეილი, —  
და მინდორიც აჭრელდება,  
უგავილებით დაფენილი.

საფლე აბულაძე.



# გაზაფხული დგება!



გერ სულ ცოტა სანია ოპც გა-  
ვისტუმრეთ ციცი ზამთარი. მწე-  
თან და თან გვიახლოვდება.  
სითბოს გამო თოვლი მთებზე  
დნება და დელეო ქცეული ემგა-  
ბა ძირის. მდინარე კალაპოტში ვა-  
ღარ თავსდება და აქეთ-იქით ნაპირებ-  
ზე გადადის. ჩვენი კუდ-მაკრატელა, გა-  
ზაფხულის ძახირობელი მერცხალიც  
მოფრენილა და მოუსვენრათ დანავარდობს ცის კა-  
მარაში, თანაც სიამური ჭიკჭიკით ადამიანს სმენას  
უტკბობს და ახალისებს საქმეზე. აგერ ჭიათჭიელებ-  
საც გაუგიათ გაზაფხული; გამოსულან სანგრძლივი  
მილისაგან და უუთფუთი გააქვთ, არიან ერთ დიდ  
ზაქმეში, უნდათ უკეთესათ მოაწეონ თავიანთი სიცო-  
ცხლე. ერთი სიტუაცით ეოველმა სულდგმულმა დაას-  
წია თავი ციც ზამთარს და ახლა დიდის სისარულით  
იწყებან ახალ ცხოვრებას.

ამწანდა ველ-მინდორი. ჩვენ ნაზ იასაც ამოუ-  
ვებია თავი ბუჩქის ძირში და მქრალათ, თავუმომწო-




წევ გამოიცემირება. ფრინველების სისარულს ხომ სამხდვარი არა აქვს: დასტიან, ჭიკვიკობენ, ხტიან ტოტიდან ტოტზე. სასწავლებლიდანაც გამოიძალენ მოწაფეები თავიანთ მასწავლებლით და დიდი სისარულით ჰქონებავენ მრავალ გვარ ეგავილებს, ჰქონენ დიდ თაიგულს და უძღვნიან თავიანთ ერთგულს და საევარელს მასწავლებელს.

„განათლების“ სასწ. მოწაფე ან. კანდელაკი.



ჩორ მოუმართ მისი უფლების და  
 მისი მენა მისი უფლების და  
**შ ი რ ა პ შ ი ტ**  
 (გაგრძელება)



ოთახის უგანა ბრინჯაიღო და  
 ბატარა ბნელი ოთახიდან გამოს-  
 ვიდა წელში ოდნავ მოხრილი და-  
 ბალი ტანის და ხანში შესული ქა-  
 ლი, რომელსაც თავზე შავი თავ-  
 შალი ეჭირა, თვალებს იჯტკნეტდა  
 — ეტეობოდა ნამძინარევი იქ.

— შე მუდრევო, დღეც ძილი, დამეც ძილი, გა-  
 გიგონია! დაუკვირა ძიხოძ.

— მე... დაიბლავლეს ამ დონს ბატკნებმა.

— აი ეს ბატკნები ეზოში გაიევანე და ბალახი  
 დაუკარე, ამ ბავშებსაც უური უგდე, გარეთ არ გაუ-  
 შვა, იცოდე. თუ ამათ ქუჩაში ცხვირი გამოუკვით,  
 შენი გოგრა ოთხათ გაიპობა მაშინ.

— როგორ თუ ქუჩაში არ გაუშვას! ჩვენ ახლა-  
 ვე სახლში უნდა წავიდეთ, წარმოსთქა აჩიკომ.—ქუ-  
 თო, წამოდი. მოჟყიდა აჩიკომ ქეთოს სელი და ორი-  
 ვემ გარებს მიაჟურეს.

— მაღეთ დაეგდეთ! ჭკრა გეურქამ სელი. თუ  
 ჭკვიანათ არ იქნით, ორივეს თავებს დაგჭრით და  
 მტკვარში გადაგაგდებთ.

ქეთოს ფერი ეცვალა, კანკალი დაიწეო, მიეუუ-  
და გედელს და ტირილი ვეღარ შეიკავა.

— შენ ვიღაცა სარ, მე შენი არ მეშინია, მიუ-  
გო აჩიკომ: — მე შენ გეუბნები სასლმი გაგვიშვი, თო-  
რებ ინანებ.

— როცა ჩვენი ნება იქნება მაშინ წაგიუგანთ  
სასლმი.

— არა, ახლა უნდა წაგიდეთ; თქვენი წაევანა  
ჩვენ არ გვესაჭიროება, უთქვენოთაც ყარგათ მიუაგ-  
ნებთ ჩვენ სახლს.

— რა დოს ეგეებია? რამდენიმე დღე აქედან  
ვერსად ვერ წასვალთ, მიმართა მისომ. — ჩვენ აქ არა-  
ფერს არ მოგაკლებთ, თუ წენარათა და ჭკვიანათ  
იქნებით და აასრულებთ რასაც ჩვენ გმიტევით. თუ  
ურჩობა და უკირილი დაიწეო, ისეთ ალაგას დაგამ-  
წევდევთ, რომ ერთი წელიწადი გემებოს თქვენმა ჰა-  
ტონმა და ვერა გნახოს.

— მაშ რათ მოგგატეუმ, არა გცხვენია? ასე არა  
თქეი შირაკში წაგიუგანთ და ამაღამვე მოგიუგანთო?  
შენსელა კაცმა ტეუილი უნდა სთქვას.

— თუ ხმას არ ჩაიკმინდავ, შირაკში კი არა,  
იმას იქით წაგიუგან, მაშ! მე სუმრობა არ მიუვარს.

— არც მე მიუვარს ხუმრობა, ცორუაპენტელი! გირ-  
ჩევნია სახლმი გაგვიშვა, თორებ ინანებ!

— ვა, ე რა თარსია, ბიჭო! მიუბრუნდა მისო  
გეურქას და თან ედიმებოდა; აჩიკოს გამბედაობა მას  
მოსწონდა: — ჩემმა მზებ ისეთი ეარაჩოღული ბიჭი  
გამოვა, რომ რაღა უნდა გითხრა.



— ნაზელი, ჸა, რაც გითხარი კარგათ დაინ-სომე, მიუბრუნდა მისო მოხუცებულს მცირე ხანს შემდეგ.

ორივე გარეთ გამოვიდენ და კარები ქუჩიდან ჩაჭკეტეს.

— დიდება, დიდება! მიუბრუნდა აჩიკო მოხუ-ცებულს.

— რა გინდა, შვილო!

— ესენი ვინ არიან?

— ერთი ჩემი გერია, მისო, აი შენ რომ გელა-შარაკებოდა, შეორე კი მისი ამხანავი.

— მისო მამი ჩემის ნათლული ეოფილა.

— ეჭ, შვილო, მამი შენის ნათლულს რა უგაგს!

— როგორ არა, თვითონ მითხრა გზაზე! მარ-თალი არ არის, ქეთო?

— ჭო, მამი-თქვენის ნათლული ვარო, ატირე-ბულის ხმით დაადასტურა ქეთოძ.

— ტეუილი უთქვაშს, შვილო, ტეუილი!

— ერთი უეურე რა წრუ ეოფილა! ტეუილის თქმა ხომ სირცხვილია, დიდება?

— ჩვენ აქ რათ მოგვიუგანეს, დიდება? დაიწუო ისევ აჩიკომ

— მალე გაიგებო, შვილო!

— მართლა თავებს მოგვჭრიან, დაეკითხა ქეთო.

— არა, შვილო, ნუ გეშინიანთ, რამდენიმე დღეს გაგაჩერებენ და მერე სახლში მიგიუვანენ. თქვენ ნუ რაფრის ნუ გეშინიათ.

— მერე რათ უნდათ რომ აქ გვიჭერენ, ჩვენი დედ-მამა არ ეცოდებათ? ისინი ხომ ძესწუსდებიან?

მოხუცმა მხოლოთ თავი ჩაიქნია და ლოგინზე ჩამოვდა.

— იცი, დიდედა, გაგვიშვი და ჩვენ წავალთ სახლში, ისინი ხომ აქ აღარ არიან?

— შენც ჩვენთან წამოდი, ჩვენი დედ-მამა მალიან კრისტიან გულის არიან.

— აგრეთვ რომ იუს, შვილო, რითი წავიდეთ, ქუჩის კარები და კეტილია და გასაღებიც იმათ აქვთ.

აჩიკო მიგარდა კარებს, და კეტილი იუს; დაიწურო ოთახში აქეთიქით სიარული და თვალიერება. ოთახი დაბალი იუს, ერთი კარი პირდაპირ ქუჩი გამოდიოდა. ქუჩიდან ოთახს ფანჯრები არა ჰქონდა. ქორე კარები შედიოდა პატარა ბნელ ოთახში, რომელსაც ბუხარი ჰქონდა. აჩიკომ ეს ოთახი დაათვალიერა. ამ ოთახიდან პატარა კარი გამოდიოდა ეზო მი. ეზომი დიდი თუთის სე იდგა, რომლის ტოტები ქუჩისქენ იუს გამოშვერილი. დაბალ სახლს სახურავის მაგიერ ბანი ჰქონდა. გასავალი არსად იუს.

— ააი შე ეშმაკო შენა, მოესმა აჩიკოს ნაზელის ხმა: გააარვას ხომ არ აპირებ?

— სად უნდა გვაიპარო, ჩიტი ხომ არა ვარ, რომ ვადავფრინდე!

— ჭო, შვილო, აქედან ვერსად ვერ წავალთ, სანამ ისევ ისინი არ ვაგიშვებენ. შეეხვეწეთ, რომ მალე ვაგიშვან.

— მამა თქვენს ბევრი ფული აქვს? დაეკითხა ბავშვებს მოხუცებული, როცა აჩიკო ოთახში მამოვიდა.

— არ გიცი! მიუგო აჩიკომ.

— ერთხელ დედამ მითხრა: ახალ ფეხსაცმელებს გაუფრთხილდი, ჩვენ ხომ მდიდრები არა ვართო, წარმოსთქვა ქეთომ.

— აი მამა თქვენს წერილი მისწერეთ, რომ ფულები მაღე გამოგზავნოს და მაშინ თქვენ მაღე წავალთ სახლძი.

— ახლა მიგხვდი, შენ მისგვდი ქეთო?

— რას, აჩიკო?

— ჩვენ რომ მოგვატეულეს და აქ წამოგვიყვანეს, იცი ვინა ეთვილინ?

— ვინა?

— ვინა და ეაჩალები. იცი, დიდება, მიუბრუნდა აჩიკო ნაზელის — მამა ჩვენს ფულები არა აქვს. ის რასაც შოულიობს, ჩვენა ვსარჯავთ. მერე ჩვენ რომ გავიზრდებით ჩვენ ვიმოვნით და მამას და დედას მაშინ ჩვენ მიგცემთ, არა, ქეთო?

— მე რასაც ვიმოვნი, რასაც, სულ დედას მიგადებ.

— მე კიდევ მამასა და დედას ფეხსაცმლებს უკარი, ტანისამოსს. პეტრესაც მე მიგცემ ხოლმე სადილის ფულს.

— ეს როცა გაიზრდებით და ახლა კი მისწერეთ, რომ ფულები მაღე გამოგზავნოს, თორებ ისე აქადან ვერ წავალთ.

— ქეთო, იცოდე, რაც უნდა იუს არ მისწერო მამას: ფულები გამოგზავნეთ, არც მე მივწერ, ჩვენ.

მარტო ის მიგწეროთ, რომ ქარგათა გართ და ნუ შეწუხვდებიან. აბა, ქაღალდი სად არის?

— როცა ისინი მოვლენ, შვილო, რასაც ისინი გეტევიან, ის უნდა დასწეროთ, ქაღალდსაც ისინი მოიტანებენ, აბა მე სადა მაქვს ქაღალდი. მე თქვენ გარიგებთ, რომ ისე მოიქცეთ, როგორც მე გირჩევთ.

ოთახში საკმაოთ ჩამობნელდა. ბავშვებს ძილი მოერიათ.

— ჩემო, დიდება, ცოტა ჰური და უკელი მომიტანე! შეეხვეწა ქეთო.

ნაზელი გავიდა მეორე თთახში, მალე მოიტანა, ჰური, უკელი, წეალი და ბავშვები მაღიანათ შეექცენ, შემდეგ მიდგეს მუთაქაზე თავი და ერთმანეთს მოუხვიერ.

— ქეთო, შენ ხომ არ გემინიან, წაკლამარაკა აჩიკო.

— მე მალიან მემინია, აჩიკო.

— რისი გემინია? ესენი ვერაფერს გერ გვიზამენ.

— იმან რომ გვითხრა თავებს დაგჭრითო.

— აბა ერთი გაბედოს!

— შენ არ გემინია, აჩიკო?

— მე არ მემინია, დედა და მამა კი მეცოდება!

— მეც მალიან მეცოდება, ასე არ უნდა გვეჩნა, აჩიკო.

— მამას ბრძლი იუო, მამას რომ ეთქვა ბატქნებს არ დაგლავთო, ჩვენც არ გამოვიპარებოდით.

— ამათ რომ ბატქნები დაკლან?


— აბა ერთი გაბედონ, ისეთს უქბენ ხელზე რომ!  
— შენ როგორ მოერევი, ისინი დიდები არიან,  
შენ კი ჰატარია.

— მერე რა ვუყოთ ჰატარა რომა ვარ. იმსელას  
დავიუვირებ, რომ მთელმა ქუჩამ გაიგოს. დიდება,  
ბატქნებს ხომ არავინ დაკლავს?

ნაზელის არა ეურებოდა-რა: ტახტზე წამოწო-  
ლილიუო და გემრიელათ ფშვინავდა.

ჩვენი ბავშებიც მალე მიეცნენ ტკბილ ძილს.  
(ჟემდეგი იქნება)

ი. გომართელი.



# პატარა ლარიპი

(ფრანგულიდან)



მი, რასაკვირველია, სასწავა  
 ლებელძიაც ეველას ოტაცებდა.  
 უფროსი მოწაფეები მაზე თავა  
 შეკავებული ადმინისტრი  
 პარაკობდენ; ლაპარაკობდენ მათზე ვინც სახელი გა  
 ითქვა და მათზე ვინც თავისიანები დაობლა: მამება  
 ზე, მმებზე, მასწავლებლებზე, რომლებიც ჯარში იუგენ  
 და რომელთაგანიც ბევრი კიდეც დაღუპულიყო; ისია  
 ნი ამავათ აჩვენებდენ ერთი ძეორეს ბრძოლის ვე  
 ლიდან მიღებულ წერილებს და სწუხდენ, რომ არ  
 შეეძლოთ თითონაც იქ წასულიერებ; ისინი დაობდენ  
 ჯარის მიმოძრობაზე, მსჯელობდენ მთავრობისას  
 გან მოწოდებულ ცნობების შესახებ და უამბობდენ  
 ერთმანეთს სხვა და სხვა წაკითხულ ანუ ისე გაგე  
 ბულ ამბებს; გაზეთებს, რომლებიც გარედან მოსია  
 რულე მოსწავლეებს მოჰქონდათ, ისინი ერთიამეო-  
 რეს ხელიდან ჰელევადენ.

სხვებიც, შეათხნა და შატარა მოწაფეებიც, გატა  
 ცებით დაობდენ და მსჯელობდენ ომის შესახებ, მა-  
 გრამ, როდესაც მსჯელობას და დავას გაათავებდენ—  
 თამაშობას იწებდენ, და თამაშობდენ ისევ ამიანო-  
 ბას.



ცამეტი წლის „დიდი სიმონტის“ წინამდლაურებული ბით შემდგარი იქო მთელი ერთი დასი, ოომელიც უოველ სწავლისაკან თავისუფალ დროს, დიდი მო ხერხებით შემოერტყმოდა ხოლმე გარს მტრის რაზმს, ან და გაბედულ იერიშს მიიტანდა მაზე. უბედურება ის იქო, ოომ ეზოში ტრანშეუბის, თხრილების, გაკეთება აკრძალული იქო, ისე რომ მათ მხლოთ მიწაზე გავლებული ხაზები წარმოადგენდა; მაგრამ კი დევ უარესი უბედურება ის იქო, ოომ გერმანელობა არავის უნდოდა; არავის არ ეხალისებოდა ამ საზის ღარი როლის აღება, მით უფრო, ოომ ჩვეულებრივ ეთ ამ როლის ამსრულებელს ცემა-ტექა და დამარცხება ხვდებოდა ხერმები წილათ. ისე რომ ბოლოს სიმონტმა, ოომელიც უოველთვის ფრანგის ჯარების უფროსი იქო, გადაწევიტა, გერმანელებს რიგ-რიგათ ეველა წარმოადგენსო; უამისოთ ომი შეუძლებელი ხდებოდა.

პატარა ლარიკი არასოდეს არ იღებდა მონაწილეობას ამ გვარ თაშაშმი, რადგანაც მას არავინ იკარებდა. ის მთელ სასწავლებელში უველაზე პატარა იქო და აბა როგორ შეიძლებოდა მისი ჯარში გაევანა? მის პაწაწა ფეხებს ჩქარი სირბილი არ შეეძლოთ, ისე რომ იერიშის დროს ის უთუოთ წაიქცეოდა; ამას გრძდა სიმონტმა გამოაცხადა, ჯერ ეგ ისე პატარა არის, რომ სულ ერთია ომის არცაკი არა გაეგება რომ.

და პატარა ლარიკი, ხეჭუჭე თმაზე ქუდ-ჩამოფხა-ტული, ჯიბეში სელებაჩაწეობილი, განზე გამდგარი

უურებდა ხოლძე სხვების მხიარულ თამაშს; სან სული წასმლევდა, ისიც გამოეკიდებოდა ხოლძე გერმანელებს, მაგრამ უცებ შეჩერდებოდა და ისევ განცე გადგებოდა; ქარგათ იცოდა, რომ სიმონტი უსათუოთ გამოაგდებდა; და თავისუფალ დროს ასე ატარებდა პატარა ლარიკი.

მაგრამ ამაზე არავის არავის არ შესჩიდდა; ის სასწავლებელში სექტემბერს აქეთ იუო და კიდევ მის ჩვეულიერ იმას, რომ ამხანაგები მას უურადღებას არ აქცივდენ. თუმცა დიდი მოლაპარაკე არ იუო, მაგრამ მას ინც, პირველ ხანებში, იმ კლასში, სადაც საღამოობათ გაკაშთილებს ამზადებინ ებდენ ხოლმე, მან სცადა საუბარი გაება მის მეზობლეთ მჯდომ ერთ მსხვილ ბავშთან; მაგრამ ამ ბავშს, ტკბილეულების და ძილის მეტი მთელ ქვეყანაზე არაფერი არ მოსდიოდა თვალში. კიბეები ერველთვის კამფეტებით ჰქონდა გატენილი, სწუწნიდა მათ და სთვლემდა, ისე რომ პატარა ლარიკმა მალე შესწევიტა მასთან ლაპარაკი, მოუკვამ მხოლოთ, დედა ჩემი მაძინ მოკვდა, როცა მე პატარა, სულ პატარა ვიუავიო, და იმ კაცს, რომელსაც ხანა და-ხან კვირაობით გაფეავარ აქედან, იმდენი საქმე აქცს, რომ ჩემთვის სულ არ სცალიაო. ვინ იცის, იქნება სხვაც ბევრი რამ ჰქონდა კიდევ მოსაუოლი პატარა ლარიკს! უთუოთაც ჰქონდა; რადგანაც მას დრო გამოშვებით წერილები მოსდიოდა, მსხვილი და ადვილათ წასაკითხი ასოებით დაწერილი რამდენიმე სტრიქონი, რომლებსაც ის მთელი საათობით ჰქითხ ხულობდა და ჰქითხულობდა; მერე აიღებდა ერთ ფურ-

ცელ ქადალდს, და საღამოს, როცა მათ კლასში მშენებელი უკანდენ გაკვეთილების მოსამზადებლათ, შეაძი დაკია დებულ დიდი ლამის შუქზე შეუდგებოდა ხოლმე პა სუსტის წერას; სწერდა დაფიქტებით, ნელანელა, და გულმოდგინეთ იუვანდა სიტუებს მსხვილი, ბავშური ასოებით. მაგრამ ამ წერალის საიდუმლოს პატარა ლარიკი არავის უსიარებდა; არავინ არ იუო მისი გაგების ღირსი, არც მისი კამფეტების მოუგარე მძინარა მეზობელი, არც ის სხვა ბავშები, რომლებიც ომიანობის თამაშის ღროს არ იკარებდენ მას.

ერთ ორშაბათ დილას, დეპტბურში, დადგა თუ არა სადღესასწაულოთ დათხოვნის დრო, დიდმა სი მონტმა მთელი თავისი დასი შემოიკრიბა გარს.

— დღეს მშვენიერი რამე მაქვს სათამაშო! — წა მოიძახა მან გატაცებით. — მამამ გვიამბო ეს გუმინ. ხომ იცით, მამა სამინისტროშია დირექტორათ. იმან ეველაფერი იცის. ასე თქვა, გმირობაა ეს, ნამდვილი გმირობაა. აი, გაიგონეთ. ერთი აფიცერია, გრ პიტანი, ჯერ მისი გვარი არ იციან, მაგრამ მალე უველა გაზეთებში იქნება გამოცხადებული ეს საქმეც. გაიგონეთ, გაიგონეთ. ერთი სიდი იუო, და ის სიდი უნდა აეფეხქებინათ, რომ გერმანელებს იქიდან არ მოევლოთ. გერმანელები მოახლოებებას ვერ ბედავდენ, შორიდან კი სულ უუმბარებს ისროდენ, რომ ვერც ჩვენები მიახლოებოდენ. მაშინ ის აფიცერი წავიდა, მარტოთ მარტო, ტყვიების დაურიდებლათ, სიდის ასაფეხქებლათ შელინიტი ჰქონდა, ჩადო, გახსნა დახვეული

პატრუქი. მოუკიდა ცეცხლი და ააფეთქა სიღი, ტეჭის  
ები კი სულ სეტევასაგით ცვირდებ. მერე მობრუნდა  
ჩვენებისკენ; მაგრამ ერთი შრაპნელი გასკდა ამ დოს  
ძის ახლოს და მას რევია მოხვდა. გმირია, ნამდვი  
ლი გმირი!

— მოკვდა? — ჰყითხა ერთმა ამსანაგმა.

— არა, და თურმე არც მოკვდება, მმიმეთ არ არის  
დაჭრილი. მამა ამბობდა, ეს სწორეთ სასწაულიაო.  
და გერმანელებს აჯობეს მისი ვამბედაობის წეალო  
ბით. ნამდვილი, ნამდვილი გმირია! ახლა ეს უნდა  
წარმოვადგინოთ. ნახავთ რა მშენიერება ვამოვა.  
მე ფრანგების გენერალი ვიქენები; თქვენ და ოქებენ  
აფიცრები. სიდი აგერ იქნება, ამა და ამ სეს შეა.  
თქვენ, — და იმან ხელი ჰყორა სამ ოოს ბავშვს, რომ.  
ლებიც უგემურათ დაიმანქენ, — თქვენ გერმანელები  
იქნებით; იქ დადექით, აი, უქ; არა, უფრო მორს;  
მანდედან უუმბარები უნდა დაგვიძინოთ.

ის გატაცებით აწეობდა უველავერს, და უვალაც  
გაიტაცა. ახლა ხელი წამოავლო დაფაზე წასამლელ  
ლრუბელს.

ეს მელინატი იქნება. აი, ეს წვრილი ბაწარი —  
პატრუქი. აბა ჸე, ახლა უველავერი გვაქვს. ახლა  
მსოლოთ აფიცერი გვაკლია! ტუვიებს არ უნდა მოე-  
რიდოს, გაიქცეს და სიღი ააფეთქოს; ნელანელა,  
აუჩქარებლათ უნდა დაამზადოს უველავერი, არ უნდა  
შეკროეს. მალიან მამაცი ვინმე გვგმირვება. აბა, ვინ  
გაბედავს?



— მე! მე! — გაისმა ოამდენიმე ხმა. უკელი წამოიწია, უკელას უნდოდა გმირობის გამოჩენა.

უცებ, მოულოდნელათ, ერთმა სულ პატარა ბავ-  
შვის წერიალა ხმამ გადაწევეტათ გამოაცხადა:

— მე ავაფეთქებ ხიდს!

ეს პატარა ლარიკის ხმა იქო. ის დასაწეისიდან უკელაფერს უურს უგდებდა, ერთი სიტყვაც არ გამო-  
შარვია, მას კი, როგორც უოველთვის, უურბდებას  
არავინ აქცევდა. ასლა წინ წამოწეულიულ, ლოუბი  
აწითლებოდა, თვალები ანთებოდა, მთლათ კანკა-  
ლებდა.

— მე ავაფეთქებ ხიდს!

დიდი სიმონტი, ასეთი თავსედობით გაკვირვე-  
ბული, დაცინვით ძეგებითხა:

— შენ, ლაწირაკო? მერე ეს შენი საქმეა? გასწი  
აქედან!

პატარა ლარიკმა უკან არ დაიხია, ის კი არა,  
ერთი ნაბიჯი კიდევ წინ წასდგა.

— კი! — წამოიუვირა მან გატაცებით, — მე უნდა  
ავაფეთქო ხიდი! ეს ჩემი საქმეა, ჩემი! იმიტომ რომ  
ის აფიცერი, ის კაპიტანი ჩემი მამაა! მამამ ააფეთქა  
ხიდი! მე... მე ეს კარგათ... ვიცი! იმას ჩემი შეეძინ-  
და, გაიგებსო, და... ოუმცა დაჭრილია... თუმცა ავა-  
თაა... მაინც... მაინც მომწერა...

პატარა ლარიკს ხმა ჩაუწედა, თვალებიდან ცრეპ-  
ლები გადმოსკდა და მან დიდ სიმონტს თავისი მა-

მის წერილი გაუმჯობა, წერილი ოომელზედაც იმდევნი ეტირა, იმდენი ამ დილას აქეთ, რომ დაჭრილის აქანებლებული ხელით განგებ მსხვილი ასოებით დაწერილი რამდენიმე სტრიქონი შიგ ძლიერს და ამოიკითხებოდა.



კუნი გადატესტიონი ილიანური მოწყვეტილი საბაზისი

## სიუსტან ბაზისი

(უძღვის ნუნუს და გატუნას).



არტი მიწურული იყო. მძვე-  
ნიერი დღე გათენდა. მზებ  
თავი ამოეო თუ არა, თის-  
ნას საწოლს მიაჩერა სხი-  
ვები. თინა შეიძლება, თვალ-  
ები გაახსილა, მავრამ ისევ  
მაღვე დახუჭა, სხივებს ვერ  
შეუძლო.

ის იყო თინა უნდა მეო-  
რე გვერდზე გადაბრუნებუ-  
ლიეო, დაემინა, რომ ქრები გაიდო  
და კიღაცა შემოვიდა.

— თინა, გაიგვიძე, რა გაჩვენო!  
თინამ თავლებზე სელი მიიფარა  
და ისე შეხედა მამას. მამის დანახვა  
და თინას წამოხტომა ერთი იყო. მა-  
მას სელში მშენებირი თეთრი ბატყანი ეჭირა.

— მამა, გენაცხალე, ჩქარა მოიგვანე, ქვემაგებ-  
ში ჩამისვი!

— არავი, ხომ ქვემაგები გაგიჯუჭა? აღექი,  
ჩაიცეცი და აბა შენ იცი და ამან, როგორც ითამა-  
შებთ, იცელებთ, იხტუნავებთ, მსოლოთ ბაღში ან

აივანში, სახლში კი არ შეიძლება. ახლა ამას წა-  
ვიუვან, ჩქარა ჩაიცვი.—სთქვა მამამ და კარგბისკენ  
გაემართა.

— მამა, მამა, შენ გენაცვალე, ერთი კიდევ და-  
მანახვე, ახლო მოიუვანე!

მამამ მიიუვანა ახლო. თინამ თავზე ხელი გა-  
დაუსვა, შებლზე აკოცა.

— ვინ გამოგვიგზავნა, მამილო, ამისთანა ლა-  
მაზი ბეჭებ?

— სოფლიდან ჩემ ნათლიღმამა ქიტესას ვამოუ-  
გზავნია შენთვის. აღექ და ჩემ ნათლულს სამავიეროთ  
ხილი და სათამაშოები გაუგზავნე.

ბატქანმა დაიბლავლა. თინას სიხარულს საზღვა-  
რი არა ჰქონდა. არავითარ მუსიკას და სიმღერას  
ასეთ აღტაცებამი არ მოუვანია თინა, როგორც ამ  
ბატქნის დაბლავლებამ.

— უჲ, დედა-მენსა სძინავს და გააღვიძებს ეს სა-  
მაველი, — სთქვა მამამ და ბატქანი გაიუვანა.

დილაობით ხეთი წლის თინას ბდეობა ერთი  
დაუხრულებელი ხათაბალა იუო ხოლმე: ხან მოუ-  
სურვებდა გადიამ ჩამაცვასო, ხან უდევოთ არ ჩაიცვამ-  
და, ხან ეს კაბა არ მინდაო, ხან დაჭირვავდა რას-  
მეს, ასე რომ უკელას მოდლიდა, ვიდრე ჩაიცვამდა.  
დღეს კი სხვის დაუხმოებლივ, თვალის დახამსახე-  
ბაზე წამოხტა, საჩქაროთ ჩაიცვა და უმალ აივანზე  
დაიბადა თავის ბატქანთან.

ამ დღიდან თინა და ბატქანი ისე დამეგობრდენ,  
რომ მნელი წარმოსადგენი იუო ბატქნი უთინოთ



და თინა—უბატკნოთ. მთელი დღე თინა ბატქიშვილის  
ალექსანდრი და მოვლაში იყო. თითქმის უგელ დღა  
ვარცხნიდა, სმირათ ძალავებდა და უგელ დღე სხვა  
და სხვა ფერ დაწერებს უკეთებდა. თუმცა დედამამა  
უძლიდენ, მაგრამ სადილსა და ჩაიჭედაც გვერდიდან  
არ იმორებდა. მარტო დამით ძორდებოდენ ერთმა-  
ნეთს: ბატქანს აივან ქვეშ ჰქონდა ბინა გაკეთებუ-  
ლი.

თინას დედას მაგროს ძალიან უხაროდა, რომ ბავ-  
ში ასე ერთობოდა ბატქანის თამაშობაში და თხნაც  
სწუხდა. ერთხელ ქმარს უთხრა:

— ნიკო, მე ძალიან შიხარიან, რო თინა ასე  
შეეჩია ბატქანს, მაგრამ სააღდგომოთ რომ დავ-  
კლავთ, სომ იდარდებს?

— ბავშია, სხვა სათამაშო გამოუჩნდება და ბა-  
ტქანი გადაავიწადება.

— ტეუილათ ჭყიქრობ მაგრე, მე კი ვიცი თინი-  
კო ძალიან ჯიგრიანია და იხადვლებს.

— დედებმა სულ მაგრე იცით გაზვიადება — და-  
ცინვით უთხრა ნიკომ. — აბა უხლავე მოჰქე მენ თი-  
თონ წუწუნს!

— ხუმრობა ხომ არ არის, თითქმის მთელი  
თვე განუშორებლიკ ერთათ არიან და ქენ ამბობ არა-  
ფერიაო? აღდგომა კი ერთი კვირის შემდეგ არის.

ნიკო, ცოტა არ იყოს, შეუიქრიანდა, მაგრამ ძა-  
ლე სხვა საგანზე დაიწევეს ლაპარაკი.

## II

წითელ პარაპეტ დილით ფურნიდან აუარებელი  
ჰასეა მოიტანეს და დიდი მაგიდა გააკეს. თინას

მოუტეხეს თუ არა პასკა, შუაზე გადატეხა და ბჟაორთება  
ტქანს შიუმენია:

— ჭამე, ჩემთ ბეკეცო, ხვალ აღდგომაა, იმისა  
თვის გამოვაცხეთ პასკა. ეხლა უოველ დღე გაფეხ  
ხოლმე. დღეს უნდა გაბანავო, ხვალ ახალ ლენტებს  
გაგიკეთებ, ოთმ ლამაზი იურ. ბეგრი ხალხი მოგა,  
შენც „ქრისტე აღსდგას“ გმტევიან. ორ გაკოჭონ, შენ  
რო კოცნა არ იცი! ბაა გაკოცო, შენც ძაკოცებ?

თინამ აკოცა: ბატკანმა კი ენა გამოუღი და ლო  
ეა აულოკა.

— ეგეთი კოცნა, ოოგორ იქნება? ლოება დამი  
სველება!

— თინიკო, ვის ელაპარაკები? — შეეკითხა ძია  
სისო, ომელიც სააღდგომოთ სოფლიდან ჩამო  
ვიდა.


— ვისა და, ჩემ ბატკანს. ბეკეცბს კოცნა უნდა  
გასწავლო, ხვალ ოთმ სტუმრები მოვლენ, ამანაც  
ძაკოცოს.

— ჴა, ჴა! რა ბაგძი ხარ, თინიკო! სტუმრები  
ბატკნის საკოცნელათ კი არ მოვლენ, ბატენის შე-  
საფეხლათ.

— მგლები არიან, ოთმ ბატკანი შეჭამონ? —  
დაცინვითა სოქვა თინამ.

სისოს გაასხენდა, ოთმ მაკრომ და ნიკომ სთხო-  
ვეს ბაგძი შეეჩეიგნა იმ აზრს, ოთმ ბატკანი შეიძლე  
ბა აღარ იუს, ოდგან დილაზე დაკვლას უპირებ-  
დენ.

— არა, გესუმრებოდი! თინა, ეგ კი არა და აი



რა მითხრა შენმა ბატქანმა: თინას საღმე უნდა გაფართოვო, თორებ მაჯაგრებსო.

— სტური, სტური! ეგრე არ იტევის! მე რომ  
მოვმორდები, სულ ბლავის ხოლმე.

— ებ კი ამაღამ აპირებს განარევას და.

— მეც თან წავუკები, წავუკები—დაუანებით სთქვა  
თინაშ.

— დაანებე თავი ბატქანს, თინა, წამოდი ბაღი  
გასეირნოთ. ზღაპრებს და ლექსებს გმტევი.

ბაღისკენ წავიდენ.

— განა ჩემ ბეჭმებას კი არ უუგარს ზღაპარი? მე  
უამბობ ხოლმე. მეც მიამბე და ამასაც.

— აბა როგორ გიამბო? შენ სულ მაგ ბეჭმებას  
ალერსმი სარ და მე რა უურს დამიგდებ!

— დედა არ მომიკვდება,—და თან პირველარი გარ  
დიწერა.—დაგიგდებ უურს, დაგიგდებ; უურე ბეჭმებ  
როგორ კაუერებს!

— მაშ კარგი, გიამბობ: იუო და არა იუო რა,  
იუო ერთი პატარა ქალი, იმას ჰევანდა ერთი ბა  
ტქანი...

— მე ვიუავი? შეეკითხა თინა.

— არა. იმ პატარა ქალს ერქვა კატუნა და მა-  
ლიან, მალიან ჭევიანი გოგონა იუო. ერთხელ ბებუ-  
ქბ და...

— მოიცა, მოიცა ჯერ ბეჭმებ მოვიკვანო.

— არა გაწევეტინა თინამ და გაიქცა ბატქან-  
თან, რომელიც ბალახის მოვაძი უვავილებები შეერია.

— ეს, აკი გითხარი ებ ბეჭმება შენ ზღაპარს ვერ

მოვასძენინებს მეტქი! უთხრა გულ მოსულმა ძალა—

— მერქ, მერქ! ხვალ მიამბე, ხვალ! ეხლა ბეჭა  
ჯასთან უნდა ვირბინო. მაღვ აღდგომა და ორიგენი  
უნდა დავჭირანდეთ.

სისო სახლში დაბრუნდა და დას უთხრა:

— მაკო, თინას ისე უკვარს თავისი ბატყანი,  
რომ ჩენ უკალას დაგვთმობს და მაგას კი არა.

— მეც მაგას გეუბნები ნიკოს და ის კი დამცი  
ნის: ბავშია გადაავიწერდებაო.

— იცი, მაკო? ხვალ დილით ნუ დააკვლევი  
ნებთ, საღამოზე დაჭკლან, მზარეული ღამეც მოას-  
წრობს შეწყას, მხოლოთ დილიდანვე წაიუგანეთ სა-  
დმე, რომ მოელი დღე არა ნახოს თინამ.

— ეგ რა ნუკემდა ბავშისათვის? მესმის რომ  
სულ არ დავკლათ.

— ეგ მე ვიცი, შენ ისე მოიქცი, როგორც გეუ-  
ბნები.

### III

გათენდა დიდი მაბათი. თინამ წამოეთ თუ არა  
თავი, წამოხტა და პერანგის ამარა აიგანზე გაიპარა,  
რომ ბატყანი ენახა. კარებძი გავიდა თუ არა, გადა  
შეეფეთა და მეკოთა. გადიამ სელი დააჭლო:

— მე კუდრაჭავ, რომ გაცივდე და ავათ გახდე,  
სომ აღდგომა უკელას ჩაგვაშხამე? წამო ჩაითბუნე და  
მერქ ჩაიცეი.

— არა, ფეფო, არა მცირა! მე ბეჭებას ნახვა  
მინდა, სომ არ გაიპარა?

— აბა სწორეთ დილა ადრიან მაგას გერიზუ-  
ოლბდი! ისეც ბეჭრი საქა მაქას.



უნდოდა ბავშვი ისევ ლოგინში ჩაეწერინა, მხარეზე  
თინამ არა ქნა.

— არა, არ ჩავწერი, ჩქარა ჩამაცვი!

გადია თან აცმევდა და თან უამბობდა ხვალ რა  
მორთული მავიდა იქნებოდა, რაძღვი სტუმრები მო-  
ვიდოდენ, რაძღვი სათამაშოებს მოუტანდენ.

სხვა ღროს თინა სმენათ გადაიქცეოდა, დღეს  
კი სრულიად უურს არ უგდებდა და ეხვეწებოდა, ჩქა-  
რა ჩაეცმია.

ჩაიცვა თუ არა, თინა გაიქცა და აივნის ქვეშ  
ამოულ თავი. კუთხები უუთებით შემოფარგლულ ბა-  
ტენის ბინას ჩახედა და რო ვერ დაინახა თავისი ბა-  
ტეანი, საძინელი ტირილი მორთო.

დედ-მამა, ბიძა, მოსამსახურები სულ თავს შე-  
ძოებვივენ, ამჟიდებდენ, სხვა და სხვა სათამაშოს  
და სრლს ჭპირდებოდენ, მაგრამ თინა გაიძახოდა:

— ბეკება მინდა, ჩემი ბეკება... ჩემი ლამაზი! ჩე-  
მი ამხანაგი!..

— თინა, გენაცვა თინა, უური დამიგდე რა გი-  
თხრა? წამო ჩაი დალიე, მერე ეტლში ჩავსხდეთ და  
მოვძებნოთ შენი ბატყანი. — უთხრა სისომ და ხელში  
აიევანა.

თინა აღარ გაუჭირვეულდა, ხელში ემევანა, აღარც  
ტიროდა, ხოლოთ გული ვეღარ ძოიბრუნა და სა-  
ძინლათ სლუქ-სლუქებდა. პირი დაჭბანეს, ერთი ფინ-  
ჯანი რმე დაალევინეს და დალია თუ არა, მიას ჩა-  
აცივდა:

— მია, ჩქარა წავიდეთ, ჩქარა, თორებ ბეკება შორის  
წავა!

— ეხლავი, ჩემო კარგო, დამაცა, მეც ჩაი დაუტიროთა  
ლიო.

— ჩქარა, ჩქარა დალიე. ორი კი არ დალიო,  
ცხელია.—ეუბნებოდა თინა.

— თინიკო, მანამ მე ჩაის დავლევ, შენ ბაღში  
გაიქმ, იქნება იქ იუოს ბეჭედა?

— მართლა, მართლა, იქნება იქ იუოს! და თინა  
სახე გაუბრწებინდა იმედით.

თინა ისევ მალე შემოვარდა ქაქანით და დალო-  
ნებული:

— ბაღში სულ ვირბინე, ვირბინე... უმახე, არ  
არის. ჩქარა, მია, ჩქარა წავიდეთ, ჩაი მერე დალიე,  
როცა ბეჭედას მოვიუშანთ.

სისომ მართლა ნახევარ ჭიქა ჩაის თავი გაანე-  
ბა, ჩოხა გადიცვა და თინასათვის რომ არ მოეგო-  
ნებინათ, უქუდო და უხალტოვო გაჰეგებოდა.

#### IV

სისო და თინა მთელი საათი ეტლს დააქრო-  
ლებდენ. სისო სულ ცდილობდა თინას უკრადლება  
სათამაშო მაღაზიებისკენ მიექცია, მაგრამ თინა ვა-  
ფაციცებით აქეთაიქით იუკრებოდა, თავის ბატქანს  
დაემებდა.

თინას იმედი გაუცრუვდა: ეგონა ბატქანს ეტლით  
მალე დაგეწევითო, მაგრამ ქუჩაში სალხის მეტი არა  
ვინ იუო.

— მია, აბა მუშტაიდმი წავიდეთ. იქ ვასეირნებდი  
ხოლმე, იქნება იქ არის?

— გარგი, წავიდეთ და თუ იქაც არ არის, წე-  
რილი მივწეროთ.



— კითხვა რო არ იცის? არც მე ვიცი წერა.

— აკი უგლისფერი იცისო ჩემმა ბეჭედმათ!

— მე ვიცი სლაბაჟიში, იმას უამბობ სოლმე.

რო ვიპოვი კიდევ უამბობ. საძაგლი, რომ არ გა  
მიგონა და ვაიპარა!

— ისეთი ცუდია შენი ბეჭედ, რომ ღირსი არ  
არის მოვმებნოთ.

— არა, მია, გენაცვალე მოვმებნოთ! — ის იუ  
უნდა ეტირნა თინას.

— ვეძებოთ, ვეძებოთ! აი მუშტაიდშიაც მოველით.

მუშტაიდში სისომ მყრინავი ბურთი უეიდა, სა-  
ქანელაზე აქანავა, ტკბალი კუპატებიც აჭამა, მაგრამ  
თინას ერთი წუთიც არ შეუჩერებია თვალები, სულ  
აქეთიქით აცეცებდა და ბატკანს ეძებდა. ნაცნობი ბავ-  
შები სვდებოდენ, სათამაშოთ იწვევდენ, მაგრამ თანა  
თამაშობის მაგივრათ უველას ეკითხებოდა:

— ჩემი ბეჭედა ხომ არ გინახამთ, წითელი ლენ-  
ტი რომ ჰქონდა უელზე?

ამხანაგების უარი გულს უბლავდა თინას.

შეადგემ მოაწია.

— თინა, წავიდეთ მინ! — უთხრა მიამ.

— არა, ჯერ უნდა ვიპოვოთ.

— წავიდეთ, იქნება მინ მივიდა ბატკანი!

— მართალია, მაშ ჩქარა წავიდეთ!

მინაც რო ბატკანი არ დახვდა, თინა ტახტზე  
ზირქვე დაწვა და ვერაფრით ვერ ააუქნეს. სადილიც  
რო ჭამა. სადილს შემდეგ თინას ამხანაგი გოგი მო-  
ვიდა. დედამ თინასთან შეგზავნა

— თინა, წამო ბაღში ვითამაშოთ — უთხრა გულაციოთა  
გიმ.

— იცი, გოგი, ჩემი ბატკანი გაიპარა. სამავე  
ლი, მე გაჯავრებული ვარ. ვიტირე, ვიტირე, იველა  
გან ვეძებ!

— თინა, ჩემი ფინიაც გაიპარა.

— ჩემ ბეჭედასთან?

— არა. იცი, თინა, მე რომ ფინია მევანდა,  
ავათ იუო, ქეციძნიაო. ექიმთან წაიგზანეს, წამლებს  
უსვამდენ. ოთასში კი აღარ შემოუშვეს. ერთხელ ავ-  
დექი, გაველ კარძი და ფინია აღარ იუო. ვიტირე ბეჭ-  
რი. დედამ სთქვა: დამე შემოპარულიუოვო, ჩემი კაბა  
ჩაუცოვო, თავშალი მოეხვივნა, ქოლგა აედო და გა-  
ზარულიუოვო. ბეჭრი ვეძებე. დედა მეუბნება, უთუოთ  
სხვა ექიმთან წავიდო, მორჩება და მოვაო. შენი ბა-  
ტკანიც სო იცნობდა ჩემ ფინიას, ისიც იქ წავიდო  
და, ჩემი ფინია მორჩება და ერთათ მოვლენ.

— რა კარგია, თუ მართალი სთქვა! ჩემ ბეჭე-  
კას რომ კაბა არ აცვია. მარტო უელზე ჩემი ლენ-  
ტი აბია.

— რა უძავს, იქნება ჩემ ფინიამ იმიტომ ჩაი-  
ცვა, რომ წვიმდა. ესლა სო ცხელა. წამოდი ვითა-  
მაშოთ, იცოდე ორივენი მოვლენ.

თინას იმედი მიეცა. გოგა ძალიან უუვარდა, მა-  
ლიან მართალი ბიჟიკო იუო და თინა დარწმუნდა,  
რომ მართლა ერთათ მოვიდოდენ; ცოტა გაერთო,  
ბაღშიაც წავიდენ.

საღამოზე თინამ ისევ მოიწეინა. ადრე დაწწია



ნეს, შუბლიც ცხელი ჰქონდა. დედა არ მოშორებია, მინამ ჩვიდათ არ ჩაეძინა.

აღდგომა დღეს თინას დედა აღწე აღგა, და ეველას აფრთხილებდა, რომ არ ეხმაურნათ, თინა არ გაეღვიძებინათ. მართლაც თინას ცხრა საათამდის ემინა. გადია არ მოშორებია.

ცხრა საათზე თინა შეიშმუშნა. პირზე ღიმილი უქოთოდა.

— ფეფო, მე ჩემი ბატქანი ვიჩოვე — თვალებ აუხილებლივ სოქვა თინამ.

— დღეს ქრისტიან აღდგომაა, გაპოვნინებს იმის სი ძალი, ჩემო გარგო — უთხრა ფეფომ.

— არა, მე კიდეც ვიჩოვე. სოქვა თინამ და თან თვალები რომ გაასილა, მოაგონდა გუშინდელი ამბავი, უცებ მოისუმა, ტირილი ვეღარ მოასწრო, რომ კარები გაიდო და სისომ პირისფერ ლენტებით მორთული ბატქანი შემოიუვანა.

— ჩემო ბეჭება! — დაიუვირა თინამ და წინანდები მწუხარე ცრემლები, სისარულის ცრემლებათ გადაეჭვენ. თინა იცინოდა და ცრემლები სცვივოდა.

თ. ზ. თარხან-მოურავისა.





# აღეგა

(ნები ჩვეულებაზე)



ხალი წელიწადი გავისტუმრეთ. სხვა  
და სხვა სილეულებით და გოზი  
ნაუ-ალვასაზებით ჩავიკოკლოზინა-  
ვეთ ული. კარზე მოგვადგა ბლუ-  
ბაც თავის გაბერილი მუცლით და  
სოხბის უელივით დაწითლებულ ულ-  
კისრით. მაგრამ, სანამ აღებას გაუ-  
ძლისინმლდებოდით, ჯერ წეალი უნ-  
და გმიშუროთხებინა, რადგან, რო-  
გორც ბებია-ჩემი იტუოდა ხოლმე:  
უკურთხ წეალს ადამიანის ტომაქმი  
ჩასდეგს უოველივე მავნე სული და  
სიბილწე. უოველ შემთხვევისათვის  
გვასწავლა კიდეც ბავშებს შემდგი

წელის განსაწმენდელი და განმასპერაკებელი ლოცვა,  
რომელიც უოველ საეჭვო წელის დალევის წინ უნდა  
წარმოგვეთქვა სამჯერ: „მე წეალი ერთია, მარიამის  
ზეთია, თუ რომ რამეს ჩავაუოლებ, მარგებელი ღმერ-  
თია“ რაკი ამ ლოცვას ვიტუოდით სამჯერ, გინდ თვით  
წემბეც დაგველია და ცოცხალაცოცხალი მავნე სუ-  
ლებიც თავისი გძელი შოლტივით კუდებით წუმ-  
ბისთვის თან გადაგვეუოლებინა, ჩვენს მუცელს არა-  
ფერი არ ავნებდა.



ახალი წლიდან მექანიკური დღე იქო. კერძოდ მესამეთ არ ეყიცდა და არ ენიშნებინა ჩვენთვის სრული გათენება, რომ ბებიამ პირდეც წამოგვშალა ბაჟ-შები ლოგინიდან, ჩაგვაცვა ეველას სადღესასწაულო ტანისამოსი, ავიგისო ჭინჭილები წელით და გაგვა-მზადა ეკლესიაზე წასასვლელით. ზარმაც გადმოგვმასა ეკლესიდან. ეველანი გაექმურებით წელის კურთხე-ვაზე დასასწრებლით.

შევეღით საედარში. მნიშვნელოვანი და გარემონტირებული თანგირა ქვაბი ეკლესიის შეა ადგილზე და უკელანი ცლიდნენ ქვაბი ჭინჭილებით, თუ ლიტურებით მიტანილ წეალა საკურთხებლით. ბებია-ჩემმა წელის მაგივრათ შემოიტანა საედარში მდგომის მსობლივის სატი და მიაუვდა აღსავლის კარების მარცხ-ნივებზე იაზმის სასტურებლით. მდგვდელიც მომომანდა. დიაკვანი ამ ღროს სადავითნეზე იდგა და ჰქმდიდა ტიბიკონს სადღე-სასწაულო სმების აღმოსარჩევათ.

დაიწეო წირვა. მე ჩემის ჭინჭილით ამოვედექ ქვაბს გვერდი, რომ უკელაზე წინ ნაკურთხი წეალი ამომელო ქვაბიდან. გათავდა წირვა. მდგვდელმა აკურ-თხა წეალი. გაიმართა წელის ღება ქვაბიდან და ჭინ-ჭილების ძაფა-მუკი. ბევრმა ჩვენგანმა ნაკურთხი წელის მაგიერ, მინ გაბზარული ან მუცელ გამოვარდნილი ჭურჭელი წაიღო. ჩემმა დამ და მმამ კერძოდ მოასწრეს წელის ამოღება და შესტრიოდენ ბებიას, რომელიც ამ ღროს მდგვდელს ელაპარაკებოდა, რომ მრევლში სახლებას გურთხების და მილოცვის შემდეგ, საღია

ლათ ჩვენსა მობიანებულიერ, მდგრელმა მოუალერს არის მომზადება და უბიანა მნათეს, ორმ ბავშვისთვის წეა ლი საიაზმედან შეიცა. ბებია დაქმუშიდობა მდგრელს. მდგრელი დაჭვირდა ბებიას საღილათ მობრძანებას. მავედით შინ, მოვიტანეთ ნაკურთხი წებლი. შევხედე, ჩვენი მებინავე გიგიაც მოსულიერ საქონლიდან და მამახემს რაზაცას ელაპარაკებოდა საქონელზე.—ბიჭო, გიგლი, შემომძახა მამახემმა — მენ ეონიღ ჯვარელას ფურს სო ხბო მოუკიდა.

მე, გიგიას დანახვამ და ჯვარელა-ფურის ხბოს უოლამ ისე გამასარა, რომ აღარ ვიცოდი რა მექნა და ან რა ჰასუსი მიძეცა მამისახემისათვის. ესე გაჩუ- მებული მიუელ და მივეკარ გიგიას. თან მამახემს ვუ უურებ და თან გიგიას ველაპარაკები ჩუმათ, რომ დაძითხოვოს მამამ ჯვარელას ხბოს სანახავათ მინა დორში.

გიგიამ გამიწია მამახემთან შეა გაცობა. დავე- თხოვე მამას მინდორში საღამომდის. დედამ ჩაუწეო გიგიას საგძალო, მისცა იაზმის წეალიც ბინაძი მო სასხურებლათ და გავწიეთ მინდგრისძენ.

მივედით თუ არა ბინაში, მე მამინვე გავწიე სახბორისაკენ. გიგიასაც მოეხადნა საკმალი და შე მოვიდა კომძი ხელებით, ჰმ! ჰმ! აბა, გიგლი, იცან რომელია ჯვარელას ხბო? მე მამინვე მივუთითე იმ ხბოზე, რომელსაც ჯვარელასავით შებლზე ჯვა- რის მსგავსით თეთრი ჰქონდა. არც შევცდი. სწორეთ ეგ არისო, მიჰასუსა გიგიამ. გავუდეთ ხბორების სას-

ბორის ქარი. ხბორები გამოცვივდენ დიდ უძველეს ბეჭ სამროხე კომში და დაიწეუს წინ და უკან კუდ აძვერილებმა ბზუკუნი. მეც ავეუ და ვიუავ ერთ სის სარულში. ჯვარელას ხბო უკელასე პატარა იუო. იმის სი დაჟერა და ალერსი არ იუო მნელი, რამდენჯერა მე კიდეც მოვეხვიე უელზე, დავუკოცნე თვალები, მაგრამ განცხოომით ალერსს მასთან ვერა ვბედავდი, რადა გან ძროხის მოსვლის დრო იუო. ხბორებთან ალერსში დოომ სწრაფათ გაიარა: ჯერ ქარგათ არც კი მიუბრუნ-მობრუნებულიუავ, რომ ძროხსაც მოვიდა საბალახოდან და მე კი, პირობის მალით, უნდა გამოვთხოვებოდი ხბორებს. გამოვედით მე და გიგია გარეთ. ჯვარელა თავისებურათ საქონლის წინ მოდიოდა და მოზმუოდა თავის ხბოსკენ. მე გამეხარდა ჯვარელას დანახვა, მაგრამ იმან კი როგორლაც ცუდის თვალით შემომხედა და შემომიურუტუნა ცხვის რის ნესტოებით. თითქო მეუბნებოდა: შენ ეი, გიგლი, იქნება კიდევ გაჭმედე ჩემი ხბოს ხელის ხლება და ახლო გაკარება, გახსოვს მარშან რო გაგიგდე წისლა ქვეშ და გთელე. მეც მინდოდა მომეგონებინა ჯვარელასთვის: შენ კი არ გახსოვს, ქალბატონო, ბებია ჩემის წისლები მეთქი, მაგრამ ვერ გავბედე. ამოვეუფარე გიგიას ჩოხის კალთებს და ჩუმათ გამოვინარე შინისკენ.

ჯერ მზე არ ჩასულიერ, მოვედი მინ ჩვენები ისევ სადილზე ისხდენ. გარდა ჩვენებისა სადილზე ისხდენ მღვდელი, ბიძა ჩემი, დიაკვანი, მნათე და ჩვენი მეზობელი ქვრივი ნინო თავისი შვილი ალე-

ქსით. ნინოს თავისებურათ მოედერებინა უელი გადაჭრნდა სადღეგრძელო სადღეგრძელოზე. მე შევ-  
დექ კარებზე. მოსადილეთ დამცნახეს და ერთ ხმათ  
შემომახეს: ჰააა! ბიჭო, გიგლი! გიგლი! მელა ხსე-  
ნებაზე; მელა ხსენებაზე, აი სწორეთ შენი სადღე-  
გრძელო იუოო, შემომახა მღვდელმა. აქ მო, შეილო,  
დღესასწაული მოგილოფოო. მეც მავედი მღვდელთან;  
მღვდელმა გადამკოცნა და მითხრა: აბა, შეილო, ის-  
წავლე, ისწავლე, მალე გაათავე სოფლის სკოლა,  
რომ შემოდგომაზე მამა-შენმა ქალაქის სკოლაში გადაგი-  
ებანოსო. ისწავლე, შეილო, ეხლა ის დოო დაკვიდგა,  
რომ უსწავლელი კაცი ჩირათ არა ღირსო. ჩემ სადღე-  
გრძელოს მრავალუქამიერიც მოჰქვა. მე მივჯექ კუნ-  
კულმი და გამოვიტუსკენ მთელი ღლის დამშეული.  
სადილზე სხვათა შორის ჩამოაგდეს ლაპარაკი სა-  
ქნილის ჩამობმაზედც, რაგვან აღება უსაქანლოო  
რა აღება იქნებოდა და მისი ჩამობმა ალექსის მიან-  
დვეს, ოვოროც დასანიშნს ბიჭს. ალექსიმაც იკისრა.  
საქანლის ჩამობმა; ძრიელ გამესარდა და ამ სიხა-  
რულით გავემზაგრე დასაძინებლათ, მაგრამ არ და-  
შეძინა. დავიწეუ რაღაც ბოდვა. არ ვიცი იმიტომ,  
რომ მეტათ ვისარბე საჭმლის ჭამა, თუ შემცივდა  
მისდვრიდან მომავალს საღამოთი. ეოველ შემთხვევი-  
სათვის ბებიამ დასამშვიდებელი და დასაძინებელი  
ლოცვა წამიკითხა: „ამოვიარე სიონი ვიტეოდი ად-  
სარებასა, მამა მაცვია, მენი მარტევია და სულის-  
წმინდა გარემოსია; დავწვები დამემინება, პირჯვა-  
რი დამეწერება, ცხრა სატი—ცხრა ანგელოზი ზედ

გუდზე დამესვენება“ და თანაც რამდენ ჯერმე შემოსილი იქნა. ცოტა სანს კიდევ გიტრიალუ ქვემაგები და შემდეგ დამემინა. მეორე დღეს ადრე გამეღვიძა. მომავალი და ალექსის დაბირება და უნათებლავ გავექანე იმისკენ. ალექსი ახლათ ამდგარიელ, კერ ქალაბანწინდა არა კი ჩაუცვა, რომ მივადექ ქარებზე ბერიკას ჯოხივით. რა გინდა გიგლი!? შემომეკითხა ალექსი. არაფერი მეოქი. არა, შენ უამბოთ არ იქნები. რა უნდა და საქანელა, უმარვილო, გუმინ სალილზე რო დაჭირდი მოქეთევთ, შენიშნა ნინომ თავის შვილს. მეც გამეცინა. ალექსი მიჰსვდა ჩემ სურვილს.

— აბა წადი, კუჭი, და ჩვენებიანთ ნანასა ჰეთხე: ხო არ ეწეონება, რომ საქანელა იმის კაკალზე ჩამოვაბა. თუმცა მამა შენმა მითხრა ჩვენ კაკალზე ჩამოაბიო, მაგრამ თქვენი კაკალი დაბალია და აბა რა საქანელა ჩამოიბის. თუ ჩამოვაბა საქანელას, კარგი უნდა ჩამოვაბა, რომ მნახველები მოდიოდენ. მე მას შინგე გავიქე ნანასთან. ვეითხე ალექსის დანაბარები. ნანას კიდეც გაუხარდა. მეც სისარულით მოვირბინე ალექსისთან და კახარე, რომ ნანამ მოგვცა საქანლის ჩამაბმის ნება თავის კაკალზე. ორი დღის შემდეგ ნანას კაკლის ხეზე ება კიდეც უმველებელი საქანელა, რომელიც მომასწავებელი იუო აღების დაწეებისა და მის სანახავათ მართლაც, ალექსისა არ იყოს, მნახვებიც მოდიოდენ. ბებია-ჩემმაც დაუწეო ნელა ნელა სააღებოთ დასუქებულ ინდოურებს ხოცვა და შიგ და შიგ ბატებისა და ქარების ამოშველება. ბებიამ მრიელ გემრიელი ჩიხირთმის გაკეთება იცოდა



და თავიც მოსწონდა ამით. ბევრჯელ საგანგებოთ  
სტუმრები ბებას გაკეთებული ჩიხირთმის სჭმელზთ  
ეწვეოდენ სოლმე. ხმირათ ნაცნობები უკიუინებდენ  
ხოლმე ბებას, რომ იმას ბევრი ერბო აქვს, ბევრ  
ერბოს უმვრება ჩიხირთმას და იმიტომ აკეთებს გემ-  
რიელ ჩიხირთმასაო, ძაღრამ ეს საბუთი ბებამ ბევრ-  
ჯელ გააბათილა და მარტო ინდოურის ანუ ქათმის  
ნასარშით უფრო გემრიელი ჩიხირთმა და შილა-  
ფლავი გააკეთა. აღებას უკელა ჩვენი სოფელელი გულ-  
უხვათ უხვდებოდა, რადგან შეძეგ აღებისა, თითქ-  
მის ორი თვის განმავლობაში, ცარიელა პერით და  
წელით უნდა ესაზრდოვებინათ და ამ მარხულობის-  
თვის საჭირო იუ სოფელი უოველივე ძალით და  
ღონით შემზადებ ულიერ. მოქეიფარ ხალხს რასაკვირ-  
ველია გავლაც უნდოდა და ზედ გზაზე იუ გაკე-  
თებული საქანელა. აღებაში საქანელა აუცილებლათ  
იუ უკელა სოფელში. ზოგანაც რამდენიმე სხვა და  
სხვა უბანში. საქანელაზე იკრიფებოდენ ქალი და ვა-  
კი, დიდი და პატარა. ერთ მშვენიერ დღეს შეიკრი-  
ვენ ჩვენი სოფელელებიც, ამოირჩიეს მომღერლები,  
შეაწეეს ხმები და ჩონგურ-დაირა-მუზიკით გაუდგენ  
საქანლებზე სიარულს. მეც რა დამაუენებდა ძინ. მი-  
კედით ჯერ ერთ საქანელაზე, იქ ჩვენზე წინ სხვა სო-  
ფელელები მისულიერენ, ქანაობდენ და გაჰქონდათ ერთი  
უოფა. ჩვენ შეძეგ სხვებიც მოვიდენ. შევიკრიფეთ  
რამდენიმე ჯგუფი და გაიმართა მხარეულება. შეიკ-  
რიფენ მომდერლები და მოთამაშენი, ქალი თუ ვაკი,  
და დაიწეო სიძღერა-ტაშის კვრა.



— გიგო! გიგო! მოიხსა ჩვენებიანთ ალექსის  
ხმა. — აბა, გიგო, შენი ჭირიმე, შაირი შაირი! ეკე-  
ლამ გიგოს მიაქცია ურადღება, რომელიც ამ ღროს  
ოფიციალური მდეროდა და უკრთვდა ტაშს. გი-  
გო დაბალი ტანისა, მხარებეჭიანი შავგრძემანი ბიჭი  
იუო. თავზე ნაბდის ქუდი ეხურა, ახალუხის ახაბარა  
იუო, რომლის კალთებიც ჩატანებული ჰქონდა შალა-  
ვარში და ჩამჯდარი იუო მიგ. წელში ეალიონი ჰქონ-  
და გაბნეული და ზედ მისი განუერელი მეგობარი  
— თამბაქოს ქისა ჰქონდა მიმაგრებული. ჭრელ წინ-  
დებზე ეცვა სუფთა კოსტათ ამოსხმული ქალამნები და  
ტეავის პაჭიჭები უქან ორი სალდათის მინლის ღი-  
ლით და აბრეშუმის ჩასაკრავით შეკრული.

ერთის შეხედვით შეატეობდა კაცი გიგოს, რომ  
ის შაირების და სიმღერის ბუდა იუო. გიგომ არც  
აცივა და არც აცხელა, პირველსავე აღექსის დამა-  
ხებაზე გამოვიდა შეა ადგილას ტაშის ჭვრით და  
დაიწეო:

მიუვარს სოფლათ სიარული,

ტოლამქარში ტრიალი,

მაუვარს მათთან საუბარი,

სიტეპა მარილიანი...

მიუვარს გუთნის კვალში დგომა,

მისი ჭრიკვინ ჭრიალი,

მიუვარს დიდი ანეული,

ბელტის გვერდზე სრიალი.

მიუვარს მმური თოხის ცემა, თოხ მცდილ

მოთქმა ბანის გრიალი.

მიუვარს შუბლის დასკელება,

მკერძძი თულის თქრიალი.

მიუვარს მკა და მიუვარს ლეწება,

მიუვარს ნამყლის პრიალი,

მიუვარს მარდი ხელეური, ნორ იმურ

მისი ხრიალ ჩხრიალი.

მიუვარს ულოჲ გაგდებაცა, ამავე მომენტში

ამსანაუის ბუზღუნი.

და იმი მიუვარს ცერის დაცილება მომდევნობის

წინ დათვური მუნმული.

სანაც მიუვარს შესვენება, ამავე მომენტში

ტაშე გუნტრუშ ტრიალი.

საქანლის გამრიალება

კრიკლებისა სრიალი,

მაძინ მიუვარს პურის ჭამაც,

ხელძი ყანწის ტრიალი.

გიგოს ლექსი ჩამოართვა მეორე ჯგუფიდან და,  
თიკომ.

თებრო, თებრო ლაბლისებრო,

გათლილო ფირფიტისებრო,

მოხდენილო სოხბისებრო, და სხვ...

დაიწეო თუ არა ლექსი დათიკომ გიგო გამო  
გიდა სათამაშოთ. შეძღვებ დათიკოს სიმღერა ჩამოარ-  
თვა ქალმა მესამე ჯგუფიდამ. ქალმა ასე დაიწეო:

გაუებცობას უნდა ცნობა,

ჩოხის კალთის პრიალზე,

მოჯირითეს ცხენზე ჯდომით

თავ უირაზე ტრიალზე.

ଗୁଣଗାନ୍ତେର ମୁଖ୍ୟ ପଦିଶ୍ଵଳିତ,  
ବାରାଦାରିର ପ୍ରିଯାଲ୍ୟେ,  
ଫିନ ମିଦିଲେ ତୁ ଉପାନ ମନବିକ  
ମିଶ୍ରନିତ ବାକରାଙ୍ଗ ରୂପିରାତ୍ୟେ ରା ନେବୁ.

ଦେବରି ରାମ କିରିଦେବ ଶତକ୍ଷେତ୍ର ମନଦେଶରିଲ୍ୟବଦ୍ଧା, ବାନାମ  
ଶପାଲାନି କାଲି ରା ପାଶି ପାଞ୍ଚବିଦ୍ୟୁତିରେ ଜ୍ୟେଷ୍ଠ-ଜ୍ୟେଷ୍ଠିତ  
ବାଜାନ୍ତରୀଲାନ୍ତେ, ବିଦ୍ୟୁତିରେ ରା ବିଦ୍ୟୁତିରେ ବାନା ପ୍ରିଯନିରା  
ବାତିଲାରି. ବୋଲିବେ ମୃଗନ୍ତରେ କୁଳ ବିଦ୍ୟୁତିରେ ବାଲିରେ  
ବାଜାନ୍ତରୀଲାକୁଟିରେ ରା ପାଦିମାରିବା ଯୁଗରେଶୁଳି ପାନ୍ଦ୍ରବିଦ୍ୟୁତିରେ ରା  
ରାତିଲୁହାରି କାଲିପିଲାମା. ଏମ ପଥର ବିଦ୍ୟୁତିରେ ବାନାରା  
ମନେରମା ବାଲିପାମା.

(ରାଜଶ୍ରୀରୂପ ପଞ୍ଚମୀ)

ଘ. ଡ. ପ୍ରିଯନ୍ତାଶ୍ରମିଲା.





### გამოცანა.

უხელოთ და უცულოთ სახლი აშენებულა, ამავდა  
— მომდევ — მომდევ  
შუბლს ვერ მისწვდა, კამდის ასწვდა.

ორი რამ ერთათ ჭიდაობს, თავსა ახლიან მწარეთა!  
წითელ არიან ლალივით იცის ყოველსა მხარესა.  
წელიწადში ერთხელ მათით თამაშობთ მომღიმარეთა.

### რეპუსი.



, ჴ  
0



0

რაში  
გიჭირავს  
კალამი?



, ჵ, 0

01	01	001
001	01	01
01	001	01



"



, ჴ




,





ପାନ୍ଥିମାଳି କୁଣ୍ଡ?	ଶିଖିଲା କୁଣ୍ଡ?	ନାଜିରିଲା କୁଣ୍ଡ?
----------------------	------------------	--------------------



?



ଗଢିଯାନାଳି: ଶିଖିଲା.

100	10	10
10	10	100
10	100	10

ଗଢିଯାନାଳି କୁଣ୍ଡରେ:

ନେବ୍ୟାନି: କାନ୍ଦିଲାର ଶାକାରତତ୍ତ୍ଵାଳୀ, ସିମ୍ବାଦ କିନ୍ତୁ ଶାରତ ପ୍ରାଚୀନ.





## სააღდგომო.



ედავ, წელს აღრე გვი-  
თხოვენ,  
მანლ დავესწრობი ბზობა-  
სა;  
ჩემ ტოლ ბიჭებთან სო-  
ფელში

კვლავ ვიწყობ ჭინაგარდობასა.  
— თან მომყავს ქერთი მოწაფეც,  
ვიცი რო გაგეხარდება;  
ობლების მოსიყვარულე  
არც მამა გამიჯავრდება.

— ნიკიერია, ბეჯითი,  
გულითაც მეტათ კარგია;  
რა გითხრა აბა შორიდან,  
როგორც ძმას ისე მარგია.

უდედ-მამობით დაჩაგრულს,  
ვერ ნახავთ გაცინებულსა;  
მუდამ რო ასე უყურებ,  
ეს უფრო მიკლავს მე გულსა.  
იქნება სოფლით მოსული  
ვასიამოვნო რამითა;

თუ ვნახე სახე გაშლილი,  
მეც გავიხარებ ამითა.  
სახელათ ჰქვია ილია,  
მაგრამ ვეძახით იასა;  
შენ გენაცვალე, დედილო,  
შემახვეწევი ძისა.

ဦးပါ အကျင် ဖုန်းဖူးဖူး၊  
 စာနာမူဝါစ် မြှော်လှုတ်၊ ဒံကြားမူး;  
 စာမျက်ချော်ရှုတ် မူးကြော်ချုံး  
 မာန် နိုင်းပါ မာန် တာနားမူး.

မြှော်လှု တွေ အကျင် မြှော်တွေမူး၊  
 ပုံးပုံးပုံးပုံး လာသွေ့ပြုး ဒံကြားမူး  
 လာ လိုင် မာဇာ်ရှုတ် ဂာဇာ်ရှုတ်  
 မျှ နိုင်းပါ မာန် တာနားမူး.

ပါ လှေ နာသွေး ကိုယ်လှု

စျော် စျော် စျော် စျော် ကျော် လှေး  
 မြှော်လှု မြှော်လှု မြှော်လှု မြှော်လှု  
 လှေ စိုးရှုံးလှု လှေ စိုးရှုံးလှု

အပါ အပါ အပါ အပါ အပါ အပါ

လှေ စိုးရှုံးလှု လှေ စိုးရှုံးလှု  
 အပါ အပါ အပါ အပါ အပါ အပါ  
 မာန် မာန် မာန် မာန် မာန် မာန်

မြှော်လှု မြှော်လှု မြှော်လှု မြှော်လှု မြှော်လှု မြှော်လှု မြှော်လှု

မြှော်လှု မြှော်လှု မြှော်လှု မြှော်လှု မြှော်လှု မြှော်လှု

မြှော်လှု မြှော်လှု မြှော်လှု မြှော်လှု မြှော်လှု မြှော်လှု မြှော်လှု



# შიო მდგინაძე ლიტერატურის, იმის პოეზიის ბაღნარის

ცოდნების იტის



შიო მდგინაძე საბავშო ლიტერატურის, იმის პოეზიის ბაღნარის ტურფა ყვავილია, დაუშრეტელი წყარო სიტყბოებისა, ალერსის და კაცო მოყვარეობისა, სამშობლოს ყვავილების გვირგვინის გრეხილით შემკული.

შიოსაგან დიდის ხელოვნებით დახატული პატარა მოტივტიკე თონა, ლამაზი, ცქრიალა თამრო, კეთილი ნიკო, ცელქი გოგია, იმათი ჰევიანი და სათნოებით ალსავს სიტყვა, ქცევა, ცხვირება, ადვილათ იკვლევს გზას პატარა მკითხველების გულისკენ და საუკეთესო თესლს სთესავს იმათ ნორჩ სულში სათნოებისას და სიყვარულისას.

ოცდა ათი წელიწადია, რაც შიო შეუყენებლივ აბნევს საუცხოვო მარგალიტებს პოეზიისას ქართულ საყმაწვილო უურნალებში და ყოველი პატარა მკითხველი თავის საყვარელ უურნალის მიღებისთანავე პირველათ ბიძია შიოს ლექსს ეწაფება, ჰყოლაპავს და გულს სამოთხესებურის იაზმით ისხურებს და პეპელასავით ცქრიალის დროს ზეპირათ ლილინებს.

საყმაწვილო უურნალების გარდა, შიოს მრავლათ აქვს გამოცემული ცალკე წიგნათ უფრო ვრცელი და დამუშავებული ლექსთა კონები სურნელოვნებით ალსავს და ლამაზები: „სამი ცელქი“, „ცვარი“, „ძუნწი“, „ოქროს თავთავი“ და სხ.

წელს ძვირფას შიო მღვიმელს, ამ ყმაწვილთა გულთა მხილავს და საყვარელს პოეტს ოცდა ათი წელიწადი უსრულდება რაც პირველათ ხელში კალამი აიღო და პირველი საგალობელი უგალობა ქართველ მომავალ იმდებს. იმის ლექსთა ზედგავლენით აღზრდილი და ჯერეთ კიდევ ბალლობის ასაკში მყოფნი აპირებენ იმის პატივის ცემას, სიცოცხლითვე ვარდ-ყვავილით შემკობას და იმის ხელმოკლეობით შევიწროებულ ცხოვრების გასაუმჯობესებლათ სალიტერატურო დილის მოწყობას.

წავიდეთ, ყმაწვილებო იმ დილაზედ, პატივი ვცეთ, ჩვენის თანაგრძნობით გული მოულოთ და დავარწმუნოთ, რომ მის სიმღერას ჩვენც ბანს ვაძლევთ და იმის ნათესს გულში ვაყვავებთ.

ეკ. გაბაშვილისა.

## ჩიტი კვდებოდა.



ჩიტი კვნესოდა,  
 კვდებოდა,  
 უმწეოთ სული  
 ხდებოდა,  
 ჩიტი უდედო,  
 უბედო,  
 ქვეყანას ემდურებოდა!..  
 ულმობელია ქვეყანა,  
 გულ ქვაა ადამიანი,  
 მე მან უდროოდ მომტაცა  
 სიცოცხლე მოკლე-დღიანი!..  
 რა დაგიშავე, სოფელო,  
 რა ბოროტება გიყავი?  
 ჩემთვის დავჭროდი, ვგალომდი  
 ბუზ-კალიების მშერავი!..  
 თავს დაგხაროდი ქიკჟიკით,  
 შენთვის სიამე მზათ იყო,  
 და ეს მომიძლვენ მაგივრათ,—  
 —მეც მომკალ, ჩემი დედიკოც!..  
 ადრე ჩიტი კვნესოდა,  
 კვდებოდა,  
 უმწეოთ სული  
 ხდებოდა!..  
 ულმობელ ხელით  
 დაჭრილი  
 ქვეყანას ემდურებოდა!..  
 გელა.



# როგორ ათამაშებს მზე

## აღდგომის გაცემას.

(კუძღვნი უკადაგ მგონის აკავის თანამდებობა უფლისძიება  
სამართლისა ხსნდნს).



ისაც სოფლათ გვიცხოვრია, ყველას კარგათ გვახსოვს აღდგომის დილას ცისკარი გათავდებოდა თუ არა: „ქრისტე აღდგაო“... გახარებული ულოცვდით ერთმანერთს, წითელ კვერცხს დაუკრაულებდით და მერე კი — აბაიარეთ, ბიჭებო და ამომავალ მზეს უკეროთ, მზე როგორ ათამაშებს აღდგომის ბატკანსო. ამ დროს თუ დილაც ულრუბლო შეგვესწრო მართლაც რო დიდათ ვსიამოვნებდით მზის სააღდგომო სიხარულით... ასტრანომებს (ვარსკვლავთ მრიცხველებს), როგორც სჩანს ყურადღება მიუქცევიათ და ძრიელ ცდილობენ მეცნიერულათ ახსნან თუ რა საბუთზეა აშენებული ხალხის ამ გვარი რწმენა.

ხალხური სიტყვიერების და შემეცნების შემკრები, ცნობილი ი. პ. სახაროვი ამბობს: „მე ვიცოდი, რო ამ გვარი რწმენა ისლანდიის ხალხში არსებობს და მერე კი რუსეთშიაც აღმოგაჩინე ტულის გუბერნიაშიო“. მაგრამ თურმე რუსის ხალხი ამბობს: წმიდა აღდგომის დღეს მზე თამაშობსო, ხოლო ქართველი ხალხის თქმით კი მზე აღდგომის ბატკანს ათამაშებს...

პროფესორი ს. პ. გლაზენაპი ასე ახსნის ხალხის მიერ შემჩნეულს ამ მოვლენას: მარტში და პრილში, გაზაფხულის პირზე, როდესაც დღითი-დღე სიობო მატულობს, მაშინ ამომავალი მზის სინათლის ბრწყინვალე სხივები უფრო ძრიელათ კრთებიან, იმსხვრევიან ჰაერში, დედა-მიწის ატმოსფეროში. ეს რეფრექცია (სხივთა მსხვრევა) იმიტო ძრიელდება, რომ ჰაერის სიობოს მზის სხივთა სიობოც ემატება ამოსვლის დროს.



შემოდგომობით კი ეს პირობები სრულებით იცვლება ~~ასეთი დღის დროის შემოდგომისას~~ თი-დღე სიცივე მატულობს, მზის ამოსვლისას მის სხივებს ჰაერი ცივი უხვდება და ამიტომაც ვეღარ ვამჩნევთ იმ მოვლენას, რომელსაც ხალხი მზის თამაშს, თუ ცეკვას ეძახის. აღდგომა ყოველთვის მარტში ან აპრილში მოდის და ხალხსაც ამ სასიხარულო დღესთან დაუკავშირებია—მზეც ხარობს, მზეც თამაშობს, ქრისტეს აღდგომა უხარიანო.

მაშ სჩანს ჰაერის მდგომარეობა, მისი ნაკადულის სითბო და მოძრაობა მოგვაჩვენებს ხოლმე მზის მითომ და თამაშობას. ვისაც ზღვაზე ხშირათ უმოგზაურია ის ადვილათ შეამჩნევდა, რომ იქ მზე ყოველთვის მხიარულის თამაშით ამოდის, რაიცა დამოკიდებულია ხოლმე იმავე მიზეზზე—ატმოსფერის (ჰაერის) მდგომარეობაზე. მე თვითონ ერთხელ შევესწარ ამ დიდებულ სანახობას, როდესაც ორთქლით მავალი გემი ფეოდოსიდან დაიძრა გათენებისას.

საზოგადოთ მეცნიერები იმ აზრისანი არიან, რომ ამ ვეა-რი შემეცნება მარტონდენ ხალხის ოცნებით, თუ ფანტაზიით არ აიხსნება. ხალხს საუკუნოებათა განმავლობაში დღეს-ხეა-ლეობით შეუტჩნევია, რომ გაზაფხულზე უფრო მხიარულათ ამოდის მზე, ვიდრე სხვა დროსაო: ხან გვერჩენება, ხან დაიმა-ლება, თითქოს კეკე—მაღლულობას თამაშობსო. ხან ვხედავთ სულ ზემოდ და ზემოდ ამოვიდა, ხან-კი თითქოს სულ ქვე-ვით და ქვევით იწევს, ხან გაიელავს, ფერადებით აინთება—ბრწყინავს, პრიალებს ვარდის ფერათ, ცისფერათ, თეთრათ და ზოგჯერაც ისე ძრიელათ, რომ ვერავისი თვალი ვერ უძლებს მის უურებას. (მე ერთხელ ვცადე, ამის მერე თოვლს დავხე-დე და სულ ყვითლათ მეჩვენა).

იმავ ი. პ. სახაროვის თქმით, ტულის გუბერნიის ხალხს პეტრე-პავლობის დღესაც ჩვეულებათ აქვთ, მთელ ღამეს უთე-ვენ სოფლის გარეთ საღმე გორაზე. უნთიათ ცეცხლი, ერთობიან არაკებით და დიღდათ აღტაცებულნი უხვდებიან მზის ამოსვლის და მის თამაშს...

ჩვენში არ გამიგონია და რუსი ხალხის თქმით კი თურმე ხარებობა დღეს არა ფრინველი ბუდეს არ იშენებსო. აგრეთვე ნათლილება ღამეს წყალი სხვაფრივათ ხმაურობსო, ხმაურობა არ გამიგონია და ჩვენში ანდაზა კი სუფევს: „ერთი პირი ძი-




ლი წყალსაც მოუვაო". ყოველივე ამ გვარ თქმულობაში ხდის ხალხის შემცნებას უკეთელია თავისი რამ საფუძველი აქვს.

დღეს მეცნიერები კი არ დაიცინებიან, არამედ იკვლევენ, ცდილობენ იპოვნონ ის მიზეზი, რამაც გამოიწვია ხალხის ესა თუ ის რწმენა.

ჩვენი უკვდავი მგოსანი აკაკი ხალხის წიაღში აღიზარდა. მისმა დიდ ბუნებამ, ძრიელმა ნიჭიერებამ აღრევე შეამჩნია რაოდენათ დიდებული საუნჯის პატრონებიც ვართ, რა დიდი განძიც იმარხება ქართველი ხალხის წიაღში. ამიტომაც ისე ბეჯითათ გვიქადაეგბდა სიცოცხლეშიაც და სიკვდილის დღესაც ანდერძით დაგვავალა — ნუ დაჰკარგავთ ამ ბედნიერებას, ერთს საგანძურს, ხალხის სიბრძნის ყოველივე დარგი შეაგრძეთ, შეკრიბეთ, კარგათ შეინახეთო. ამ სალაროს დამკრძალვათ და გამგეთაც ჩვენი ეთნოგრაფიული საზოგადოება იორჩია, მას უანდერძა.

ილ. ალხაზიშვილი.



## შალიპოს საიდუმლო



ალბატონო, ეს ჩვენი შალიკო ავათ  
ხომ არ არის? წინეთ, როცა გიმნა-  
ზიიდან დაბრუნდებოდა, მაგის ცულ-  
ქობას ბოლო არ ჰქონდა, სულ აკ-  
ლებდა აქაურობას, დას და ძმას მო-  
სვენებას არ აძლევდა და მეც გავი-  
რვებული მქონდა საქმე. ეხლა კი გა-  
კვირვებული ვარ: როცა გიმნაზიი-  
დან დაბრუნდება, სჭამს საღილს თუ  
არა, ჩაიკერტება ოთახში და ზის იქ.  
გუშინ შევიტვრიტე მის ოთახში და  
გაკვირვებული დავრჩი: ზის მაგიდას-  
თან თავი ხელზე დაბჯინებული და

შესჩერებია გაშტერებული ერთ წერტილს. ასე იყო დიდხანს.  
მერე აღგა და ჩქარი სიარული დაიწყო ოთახში. სახეც რა-  
ღაც არა აქვს კარგი და თვალებიც არეული აქვს. მეშინია,  
ქალბატონო, ავათ არ გაგვიხდეს ჩემი გაზრდილი, ჩემი ნაკირ-  
ნახულევი შალიკო. ტირილის ხმით ეუბნებოდა თავის ქალბა-  
ტონს, მხატვრის ცოლს, ხანში შესული გამდელი.

— მეც კი შევნიშნე, ჩემთ სოფიო, შალიკოს, რომ ის  
რაღაც სხვა გუნებაზეა. გუშინ, გიმნაზიიდან რომ დაბრუნდა,  
ვეკითხებოდი გიმნაზიის ამბებს და ის ისე გამოშტერებული  
მიყურებდა, თითქოს არ ესმოდა რას ველაპარაკებოდი. მამაშ  
მოინდომა ნასაღილევს ჭალრაკის თამაში. ხომ იცი, რომ შა-  
ლიკოს ძალიან უყვარს ეს თამაში და, რაც თოთხმეტი წლის  
ბავშვს შეეფერება, კარგათაც თამაშობს, მაგრამ გუშინ მან  
უარი უთხრა მამას და თავის ოთახში შევიდა. მე მაშინვე გა-  
მიკვირდა. წავყვით თამაში, თავი გავუსინჯე, სიცხე ხომ არა  
აქვს თქო, მაგრამ არც სიცხე ჰქონდა და არც არაფრის ტკი-  
ვილს უჩიოდა და მეც დავმშვიდდი.

— არა, ქალბატონო, უთუოთ ავათ არის, არ შეიძლოთ არის, რომ ჩვენი ცელქი შალიკო ასე ჩაყუჩებული იყოს, თუ ავათ არ არის.

დედა და გამდელი დიდხანს იყვენ ჩაფიქრებულნი და ბოლოს გადასწყვიტეს დაუკირდენ შალიკოს და გამოიძიონ, რა არის მიზეზი მისი ასეთი მდგომარეობისა.

სადილის დროს შალიკოც დაბრუნდა. იმან საჩქაროთ დააწყო მაგიდაზე წიგნები, გაიხადა პალტო, თავის ოთახში შევიდა და კარგები ჩაიკეტა. სადილისვის როცა გამოვიდა, დედამ შენიშნა, რომ მას ნამტირალევი თვალები ჰქონდა და ამან მეტათ შეაშინა.

— რა დაგემართა, შალიკო? ცუდი ნიშანი ხომ არ მი-  
გიღია, ან მასწავლებელი ხომ არ გაგწყრომია? ჰქითხა მან.

— არა, დედა. მასწავლებელი რათ გამიწყრებოდა, რო-  
ცა კარგათ ვსწავლობ.

— მაშ რათ ხარ ასე ცუდ გუნებაზე?

შალიკო ჩუმათ იყო.

მამა თვალს არ აშორებდა შალიკოს და როგორც მხატ-  
ვარმა, რომელმაც კარგათ იცის აღამიანის გრძნობების სახე-  
ზე ამოკითხეა, შენიშნა, რომ შალიკოს რაღაც საიდუმლო  
აქვს, რომელიც მას აწუხებს და ოქმა კი არ უნდა, და ცოლი  
თვალით ანიშნა თავი დაენებებია.

მთელი ნასადილევი შალიკომ ისევ ისე კარ ჩაკეტილი  
გაატარა თავის ოთახში და მეორე დღეს ჩვეულებრივ წავიდა  
გიმნაზიაში.

დედ მამამ მოილაპარაკეს და გადასწყვიტეს, რომ მამა წა-  
ვა გიმნაზიაში და დაეკითხება შალიკოს ამბავს დირექტორს  
და მასწავლებლებს და შეიტყობს იქ ხომ არაფერი შემთხვევია  
შალიკოს.

მამამ გიმნაზიიდან ამბავი მოიტანა, რომ იქ მეტათ კმა-  
ყოფილნი არინ შალიკოსი. მითხრესო, რომ ის ნიჭიერი და  
მოცადინე ყმაწვილია. თუმცა ცელქი კი არის, მაგრამ ცელ-  
ქობა მას არ უშლის სწავლის და მეცადინებასო. ამ ბოლო  
დროს კი მასწავლებლებსაც შეუნიშნავთ, რომ შალიკო რაღაც  
დაფანტულია და ისე ყურადღებით აღარ არის გაკვეთილებზე



როგორც წინათ. შესვენების დროსაც აღარ ცელეჭის - ტკილება  
მუდამ ხაფიქრებული დაიარება მარტოთ მარტო.

ამან უფრო ჩატიქრა დედ-მამა.

მამა შევიდა შალიკოს ოთახში. დედაც თან გაჰყეა. იქ ყურადღებით დაათვალიერეს ყველაფერი, მაგრამ ვერა ნახეს ისეთი, რომ გამოიტკინათ მიხეზი მისი გამოცვლისა. ბოლოს გააღეს მაგიდის უჯრა, სადაც იმას სხვა და სხვა თავისი ნახატები ეწყო. დაკირვებით გადაათვალიერა მამამ სურათები და ნახა, რომ ერთი და ოგივე სურათი, ზოგი ღილი და ზოგი პატარა, ოცჯერ მაინც იყო დახატული. ყველა ეს სურათები ამოაწყო და გულ-და-გულ, დაკირვებით, დაათვალიერა. სურათებზე იყო გამოხატული ორი მოხუცი ქართველის თავი. ერთს თავზე ედგა დაფნის გვირგვინი და მეორეს — ეკლის. მათ თავზე დადგომოდა ქალი და ერთი ხელი ერთისთვის დაედო და მეორე მეორესათვის. სურათები თოთხმეტი წლის ბავშვი-სათვის კარგი დახატული იყო, მაგრამ, რასაკვირველია, მხა-ტკრის მოთხოვნილებას ვერ აქმაყოფილებდა.

— ა მიზეზი ჩვენი შალიკოს სულის მდგომარეობისა! —  
თქვა მამამ. — იმას განუზრახავს დაეხატა აკაკი და ილია, — პირ-  
ველი დაფნის გვირგვინით და მეორე კი — ეკლის. აკაკი შეუ-  
შეია დაფნის გვირგვინით, რაღანაც საქართველოში მას მხო-  
ლოთ მაღლობა და სიყვარული უნახავს და ილია კი ეკლის,  
როგორც ქრისტეს ხატავენ, რაღანაც ილია თავისსავე ქვე-  
ყანაში ძალით, ნაწამებათ არის მკვდარი. ზედ დადგომიდა  
მაღრიელი საქართველო და ლოცავს ორივეს. მშვენი-  
ერი იდეა. მაგრამ, რასაკვირველია, ჯერ შალიკოს აზ-  
ძალუქს ამ იდეიის მხატვრულათ განხორციელება, ეს აწუ-  
ნებს და სტანჯავს მას. როგორც მხატვარმა, მე კარგათ ვი-  
ტი, რა ტანჯვაა, როცა სურათი თვალ წინ იდეალურათ  
უიდგია და ტილოზე კი ვერ გადაიღებ მას. აი რამდენი შრო-  
მა, რამდენი მეცადინეობა დაუხარჯავს, რომ თავისი სურვილი  
აესრულებია, მაგრამ ვერ მოუხერხებია. — ყველა ეს სურათები  
თავის აღაგის ჩავალაგოთ და ისე დავიჭიროთ თვავი, ვითომ ჩვენ  
არაფრი ვიცით. რასაკვირველია, ჯერ ჩვენი შალიკო ამ დი-  
დებულ იდეიას ვერ გამოხატავს ტილოზე. მე თვითონ დავხა-  
ტავ ამ სურათს ისე, როგორც მან განიზრახა და ვაჩუქქებ მას.

თანაც ავუხსნი, რომ ჯერ მას არ ძალუძს ასეთი დიდებულებისათვის სურათის დახატვა, მაგრამ მას ისეთი ხატვის ნიჭი აქვს, რომ დაწმუნებული ვარ, როდისმე გამოიჩინილი მხატვარი იქნება. ეხლანდელი მისი სულიერი მდგომარეობაც მას ამტკიცებს.

შალიკოს მიანებეს თავი. ერთი კვირის განმავლობაში მამა მუშაობდა თავის სამხატვრო ოთახში, რომლის კარი ჩაკეტილი ჰქონდა, რომ შალიკოს უდროოთ არა შეეტყო რა. ბოლოს, კვირა დღეს, როცა შალიკო თავის ოთახში კარ-ჩაკეტილი იყო, მამამ მიურაკუნა კარებზე და გამოუძახა ოთახიდან. შალიკო დაფანტული, ნამდინარევსავით გამოვიდა. მამამ შოპკიდა ხელი და თავის ოთახში წაიყვანა. იქ მოლბერტზე იდგა დიდი სურათი, რომელსაც ტილო ჰქონდა ჩამოფარებული. მამამ ერთი ხელი თავის ვაუს მოხვია და მიიყვანა მოლბერტთან, მეორე ხელით კი ტილო ჩამოხადა სურათს. შალიკომ ერთი შეპკივლა და გაშტრერებული, თვალებ-გაფარ-თოვებული, უძრავათ შეაშტერდა სურათს. სურათზე იყო გამოხატული ორი ჩევნი დიდებული მგოსანი — აკაკი და ილია. ერთი დაფნის და მეორე ეკლის გვირგვინით. ზეიდან დადგო-მოდა შშევნიერი ქალი და ხელები ორივეს თავზე დაედო, თვალები კი ზეცას აღეპყრა, თითქოს ლოცულობსო. სურათი შშევნიერება იყო. დიღხანს იდგა შალიკო უძრავათ, დიღხანს უყურებდა სურათს და ბოლოს ორივ თვალებიდან ნაკადული-ვით ცრემლები წამოსკდა. მოხვია მამას კისერზე და ათრო-ლებული ხმით უთხრა: „მამა, ჩემო საყვარელო მამა! გაძლ-ლობ, რომ გამოხატე ის, რაც მე გულში მქონდა, მაგრამ ვერ შეესძლე განხორციელება. რა ბედნიერი ხარ, მამა, რომ ასეთი ნიჭი მოგცა ღმერთმა!“

მამა და შვილი დიღხანს ისხდენ ხელ გადახვეულნი. დიღხანს ესაუბრებოდა მამა შვილს და ბოლოს, როცა შალი-კო ოთახიდან გამოვიდა გულზე სურათ მიხურებული, მას ლოცები დაწითლებოდა და გაბედულათ და მხიარულათ უბრწყინავდა თვალები.

ამ დღიდან შალიკომ უფრო გულ და გულ დაიწყო სწავ-ლა. მამაც აძლევდა მას მხატვრობის გაკვეთილებს და მეტათ კმაყოფილი იყო თავისი ვაუს ნიჭით და ბეჯითობით.

ე. ჭ.



მოწვევული და მარტინ გამოცემის მიერ მისამართი  
მოწვევული და მარტინ გამოცემის მიერ მისამართი  
**მოგლიური ზრუნვა ცხოველთა შორის**  
ზთამოების გასაძლიერებლათ.



ტრისაგან კვერცხების დაცვა და შვილების აღზრდა ცხოველთა შორის შეადგენს. უქლიერეს საკიროებას არსებობისთვის ბრძოლის დროს. მაგრამ ის საშუალებანი, რომლებსაც ხმარობს ცხოველი მრავალია, თვით დახცლოვებულ ნათესავთა შორისაც არის სხვა და სხვა საშუალებები. ამიტომ ჩვენ არ შევგიძლიან ვიქონიოთ საერთო შეხედულობა თუ რა ზომებს ხმარობენ ცხოველები თავის შთამოების გასაძლიერებლათ.

პირველათ უნდა აღვნიშნოთ, რომ ის იღუმალი წინაგრძნობა, რომლის შემწეობით ცხოველი ზრუნავს თავის შთამომავლობისათვის ერთ ნაირათ არ ვითარდება ყველა ცხოველებში. ვერ ვიტყვით, რომ უმაღლეს საფეხურზე მდგარ ცხოველს უფრო განვითარებული აქვს ბუნებითი მიღრევილება. მაგალითად არიან ისეთი დიდი ოვეზები, რომელნიც სრულებით არ ფიქრობენ თავის შთამომავლობის გაძლიერებაზე. დაჰყრიან ქვირითს და ამითი თავდება მათი მშობლიური დანიშნულება. რა მოელის მათ შვილებს ამაზე მშობელი სრულებით არა სწუხს; არც კვერცხებს სდებენ დაფარულ აღვილზე. მაგრამ ეს მოვლენა მათ ცხოვრებაში იმითი აიხსნება, რომ მეტათ ბევრს კვერცხებს სდებენ. მაგალითად, დიდი ზეუთხი წელიწადში სდებს სამ მილიონ კვერცხს. როგორ უნდა იხრუნოს ამოდენა შვილისათვის? ამათგან ძალიან ცოტა იჩეკება, რადგან იღუპებიან აუარებელი მტრებისაგან, რომლის საზრდოს თითქმის მხოლოთ ეს კვერცხები შეადგენენ.

სულ წინააღმდეგს ვხედავთ მრავალ სხვა ცხოველთა შორის, რომლებიც ყოველ ღონეს ხმარობენ, რომ დაიცვან მტრისაგან თავისი შთამომავლობა.

ბევრი ისეთი ცხოველია, რომ კვერცხების დაცების შემსახურება  
დევ მაშინვე კვდება. მათ არ შეუძლიათ განაგრძონ ზრუნვა-  
შეიღებზე, მაგრამ ესენი თავის ზრუნვას შეიღების გამოჩე-  
კადის იჩენენ, — არჩევნ მოხერხებულ ადგილს კვერცხებისათ-  
ვის, დაფარულს და მასთანვე იმისთანას, რომ მათი უსუსური  
შთამომავლობა უზრუნველ ყოფილი იყოს გამოჩეკისთანავე.  
ამ გარ საშუალებას მიმართვენ მრავალ გვარი მწერები: მაგალ.  
აუარებელი პეპელები კვერცხებს სდებენ იმისთანა ხის ფურც-  
ლებზე, რომლითაც საზრდოობენ იმ კვერცხებიდან გამოჩეკი-  
ლი მატლები. აბრეშუმის პეპელა, ბოსტნის პეპელა, კრიჭი-  
ნები და მრავალი მათი გვარი მწერები თავდაპირველათ ცხოვ-  
რობენ წყალში და წყალზე, ამისათვის ესენი სდებენ კვერც-  
ხებს წყლის აუზებში, ჩაეშვებიან აუზის ძირში, იქ ლერწმის  
ან ქვის ქვეშ მალავენ კვერცხებს, თუმცა ისეთი სიფრთხილა  
დედას ძვირათ უჯდება, ხშირათ იხრჩობა წყალში. ზოგიერთი  
კრიჭინას მონათესავე მწერები — დედალ-მამალი — სახიფათო  
გზას დაადგებიან (ეს აიხსნება იმითი, რომ მამალი ამნევებს  
თავის ამხანგს და თითონაც არ იზოგავს თავს) ესენი ჩაეშვე-  
ბიან წყალში თითქმის 2—3 საუენის სილრმეში.

რა ძალაა ისეთი ძალა, რომელიც აგრძნობინებს ცხოველს,  
რომ ის ადგილი, სადაც თვითონ ცხოვრობს, გამოსადეგი არ  
იქნება მისი შთამომავლობისთვის; ეს არის ერთი ურიცხვ  
საწაულთაგანი ცხოველების სულიერ ცხოვრებაში ჯერ ადამი-  
ანისაგან გამოურკვეველი. ის რომ ვიფიქროთ, რომ ცხოველს  
ახსოეს პირობები, რომელშიაც ცხოვრობდა თავის სიცოცხლის  
დასაწყისში, ეს შეუძლებელია. მაშინ ხომ ცხოველის კუუ-  
გონება უმაღლეს საფეხურზე უნდა დავაყენოთ. ძრიელ ძნელი  
გამოსაცნობია ზოგიერთი მწერების საქციელი, რომლებიც სა-  
ზრდოობენ ყვავილების თავლით, თავის კვერცხებს კი ჭა-  
ბებში და ჭუჭყიან ორმოებში სდებენ.

ბევრი ხერხემლიანი ცხოველები არჩევენ შეიღებისათვის  
საიმედო ბინას. მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ ტბის კუ-  
გაზაფხულზე დედალი კუ გამოდის წყლიდან, თხრის თავის  
ღონიერი კუდით ღრმა ორმოს და ფრთხილათ სდებს იქ კვერ-  
ცხებს, შემდეგ სახურავით ორმოს ხურავს თითქმის ნიადაგის

პირამდე ასწორებს, ტკეპნის და ამით ათავებს თავის ზურგის ლიურ ზრუნვას.

ამ გვარათვე ზრუნვენ მრავალი ქვეწარმავალნი თავის შთამომავლობისთვის.

ადგილის არჩევა კვერცხებისათვის ხან და ხან ძრიელ საგულისში, ზოგი თავის კვერცხებს სდებს ჭიანჭველების ორმოებში, ტერმიტების შენობებში. რისთვის ჩადის ამას ცხოველი? იმისთვის, რომ ორმოებში თბილა და ხელს უწყობს თავის დროზე კვერცხების გამოჩეკას. ამ შემთხვევაში საკირველი ის არის, რომ მტაცებელი ტერმიტი და ჭიანჭველა სულგრძელობას იჩენს და არაფითარ ვნებას არ აყენებს მათთან შეხინულ ცხოველებს.

ერთი ფრინველია, ეგრეთ წოდებული მაღალ ფეხებიანი ქათამი, ის იკეთებს ახირებულ ბუდეს: იგროვებს მიწას დიდ გროვათ, თხრის შიგ ორმოს და სდებს კვერცხს, ორმოს აფარებს მცენარეების ფოთლებს, ტოტებს და აგრე სტოვებს. თვითონ არ ჯდება კვერცხებზე. მერე რა ხდება ორმოში? ეს მცენარეები უშვებენ სითბოს, კვერცხები თბებიან და ასე იჩეკება ფრინველი. ორმოებს ჰაერის შესასვლელი პატარა სარკმელი აქვს გვერდზე დატოვებული. ზოგიერთი ამ ფრინველთაგანი სარგებლობს ცეცხლის მფრქვეველი მთების მოქმედებით, კვერცხებს სდებენ პირდაპირ თბილ ნაცარში, იმ ნაცარში; რომელიც ამოდის ცეცხლ-მფრქვეველ მთილან.

სულ სხვანაირ მზრუნველობას იჩენს მეორე ფრინველი მარტო-რქათ წოდებული. ამ ფრინველის დედალი სდებს კვერცხს ბებერი ხის ფულუროში, შემდეგ აჯდება, მაგრამ არა ჩვეულებრივათ, როგორც სხვა ფრინველი; ის თითქმის იმარხება თავის განვალში, განვალი შემოწებება ირგვლივ, მხოლოთ თავიდა უჩანს ამ უცნაურ მოამაგე დედას. იქნება იკითხოთ რათ ჩადის ამას ეს ახირებული ფრინველი? აშკარაა რომ ის თავის თავს არ ენდობა, ეშინია უდროვო დროს არ ადგეს და კვერცხები არ გააფუჭოს და ამისათვის არ დგება არც საჭმელისათვის. მას ასაზრდოებს მამალი — მოაქვს საჭმელი და უდებს პირში თავის ტყვე-ამხანაგს.


დაეუბრუნდეთ ისევ მწერებს. მათი კვერცხების დება ხშირათ ძრიელ რთულია. არის ისეთი ერთნაირი მწერი, გრძელ

ცხვირათ წოდებული, რომელიც თავის კვერცხებს სდებს უნდა გვიციოთ ამ ფოთლებში: თავის გრძელი ხორთუმით მწერი ფოთოლს გვერდზე გახვრეტს, შემდეგ მეტათ ოსტატურათ ფეხებით ფოთლებს ახვევს ძაბრის მსგავსათ, ამ ძაბრში ათავსებს მწერი კვერცხებს, შემდეგ აწებებს ძაბრის ბოლოებს ერთმანეთს, გადაასხის ზედ თავის წებოიან სითხეს, ამგვარათ ის ბეჭდავს ყუთს, შემდეგ მწერი გადაღრუნის ფოთლის უმთავრესს ძარღვს და სტოვებს ეგრე. გამოჩეკილ მატლებს დაუხვდება გამხმარი ფოთლი, რომლითაც ის იკვებება.

ყველასგან ცნობილი უშნო მწერი, ხარაბუზა, აგუნდავებს ნაკელს მოზრდილ გუნდებათ და აგორებს ქვიშიან აღგილზე, მერე ჩაფლავს ქვიშაში. რათ უნდა მწერს ეს გუნდები? ზოგიერთს ინახავს საკვებათ, ზოგს კი გახვრეტს, შეძერება და დასდებს შიგ კვერცხებს, ზოგი მწერი ხერეტს მცენარის კანს, ან ფოთოლს, სდებს იქ კვერცხებს, როდესაც ეს აღგილები მაგრდებიან, კაუდებიან, მაშინ ამ ამობურცულ აღგილებში მატლები იჩეკება, მათ ბლომათ დაუხვდებათ საჭმელი — დამზადებული წვენი მცენარისა და მასთან ჩინებული ბინაც დაცული მტრის თვალისაგან.

შესანიშნავ მზრუნველობას იჩენენ შეილებისადმი ზოგიერთი კრაზანები, ესენი ცხოვრობენ მიწაში და სანამ კვერცხების დებას შეუდეგებოდენ, თავდაპირველათ მომავალ შეილებს უმზადებენ საზრდოს. იქერენ მრავალ მატლებს, კია-ლუებს, ობობებს, ამ საცოდავებს ამახიჯებენ და ავსებენ ამ ტუვებით თავის საცხოვრებელ ბინებს, შემდეგ სდებენ კვერცხებს, იჩეკება იქედან მატლები, რომლებსაც ბლომათ დაუხვდებათ ხოლმე ცოცხალი საჭმელი.

უფრო მეტ სიმხეცეს იჩენს შეილებისათვის ზრუნვის დროს ერთ გვარი კოლოს მონათესავე მწერი, რომელიც ულმობელი მტერია ზოგიერთი მატლისა. ეს კოლო სდებს კვერცხებს ზოგიერთ მატლის კანში: ცოცხალ მატლს დააჯდება კისერზე, გახვრეტს კანს და ჩადებს შიგ კვერცხებს. თბილათ არიან მოთავსებული კვერცხები, თავის დროზე იჩეკებიან და უბედური დღე უდგება მატლს, რომელიც გამხდარი ცოცხალ ბუდეთ. ახლათ გამოჩეკილი მატლები შეესვიან და სწოვენ ჭის შიგნეულს. დიდ ხანს არ ჩერდება ეს უბედური, კიდევ განაგრძობს საზრდოობას და აწვდის თავის მტარევალებს საზრდოს. დახედეთ რომ ბოჟათაც კი იქცე-



ვა საბრალო მატლი, მაგრამ აქ თავდება მისი სიცო<sup>(ჭლებ)</sup>, ჰე-  
პელა აღარ გამოდის ბოჟიდან, პეპელას მაგივრათ იქიდან გა-  
მოდიან ის შეწერები, რომლის მსგავსშია დასღო კვერცხები მა-  
ტლის კანში.

ზოგიერთი ცხოველი თავის შვილებს ატარებს თავის ტან-ზე, ან ტანში. შესანიშნავ ზრუნვას იჩენს ზოგიერთი თევზი თავის შთამომავლობის დასაცელათ. არის ერთი ჯიშის თევზი „ზღვის ცხენათ“ წოდებული, დედალი სულ არა ზრუნავს შთამომავლობისათვის, მამალი კი ატარებს დედლის კვერცხებს თავის ტყავის ჩანთაში, რომელიც მას მუცელზე აკრავს, როცა კვერცხებიდან გამოიჩეკებიან თევზები, შემდეგ სტოვებენ თავის ბუდეს და მიღიან ზღვაში. ძვირათ შეხვდებით თევზებს შორის, რომ დედა ზრუნავდეს შთამომავლობისთვის, არის კი ერთნაირი ლოქო, როცა დრო უდგება კვერცხების დადების, მუცლის კანი აევსება სისხლით, დედალი ყრის ჭირითს და წვება მაზედ, წევს იმდენს ხანს, სანამ კვერცხები არ მიეწევ-ბიან მუცლის კანს, ამ გვარათ მიწევებული კვერცხები თითქო უერთდებიან თევზის სხეულს, კვერცხებში მუცლის კანიდან შედიან სისხლის მილები, და ასაზრდოებენ ნასახს.

მეორე ჯიშის მამალი ლოქო დედლის დადგულ კვერცხებს იყრის პირში, მოათავსებს ლაუზებში, იქ თბილათ არიან კვერცხები და კიდეც იჩეკებიან თევზები. ამ გვარათვე იქცევა ერთვენი ბაყაყი, რომელიც აღმოაჩინა მეკუნიერმა დარჯინმა.

მამალი ბაყაყი ახლათ დადებულ კვერცხებს ჩიაყრის პირში, იქიდან გადაქვს აკელის ბუშტში, აქ იჩეკებიან პატარა თავკომბალები და უდარდელათ გრძნობენ თავს.

ერთ ნაირი გომბეშო სხვანაირათ მოქმედობს: აქ მამალს დედალი წაუსვამს ზურგზე წებითან სითხეში მოთავსებულ კვერცხებს, ეს სითხე ისე მოქმედობს, როგორც „ცოფის ჭია“. აებერება ზურგის ტყავი და კვერცხები ისე ჩაჯდებიან, როგორც ბუდეებში. მამალი ასე ატარებს, სანამ არ გამოიჩეკებიან თავკომბალები.

ბოლოს უნდა მოვიხსენო თუ როგორ მზრუნველობას ეწევათ თავის შთამომავლობის დასაცელათ ერთი პატარა ხის ბაყაყი. როცა დაუდგებათ კვერტცხების დაყრის დრო, დედა დბაყაყები წყალში აკეთებენ პატარა ჭრეს, ირგვლივ მიწისა ა


რირიფის ფოთლების მოაჯირებს უკეთებენ. ეს მრგვალუფართხოება მოცურავე წრეები წარმოადგენენ პატარ-პატარა ტბებს, სადაც ბაყაყები პყრიან ქვირითს, ამ შემოზღუდულ ტბებში ინკებიან თავკომბალები; ესენი დაცული არიან წყლის პატარა მხეცებისაგან, მშობლები მუდამ დარაჯობენ მათ, მოაჯირი ჩინებულათ იფარავს კვერცხებს სხვა და სხვა წყლის მტაცებელი მწერებისაგან.

მრავალ სხვა და სხვა ზომებს ხმარობენ ცხოველები, ყველას დასახელება თითქმის შეუძლებელია, აქ მოყვანილია მხოლოთ რამდენიმე უფრო შესანიშნავი ზომები ცხოველების მიერ შთამომავლობის დაცვისა. ეს რამდენიმე მაგალითიც საკმაოა, რომ გაიგოთ ცოტათ თუ ბერათ რა მნიშვნელოვანია ცხოველების ზრუნვა შეიღებზე თავის გვარის დასაცველათ და შთამომავლობის გასაძლიერებლათ.

#### იტა ნაკაშიძე.



კურიტის მე ფინანსების მინისტრით მინისტრობის  
ცათამ მწერი თავის-თავის მამათანის აღმართ ცათამ  
მამის მინისტრის მინისტრობის მინისტრობის მინისტრობის  
და მისი შინაური ცხოვრება.



მამის მინისტრობის დებული უკავი არა უკავი არა  
არა არა არა არა არა არა არა არა არა არა არა  
არა არა არა არა არა არა არა არა არა არა არა არა  
მ ბაზარშივე სადალაქოები, სახაშეები, აქვე სახელოსნოებია. აგრე ფესების  
მკერავი აუთოებს ფესს სპილენძის კა-  
ლაპოტებედ. ფესის პატრიონიც იქვე წა-  
მოწოლილა, ეწევა თამბაქოს და ელის თავის ფესს. იქვე მეწუ-  
ლე, ის მოკლე და მჭრელი დანით სჭრის ტყავს. სულ ახლო  
ხედავთ სახაშეს. შემწვარი ცხვრის ქონის და სხვა და სხვა საჭმე-  
ლების სუნი მოდებულია მთელს ქუჩაში. პატია ანგურებზედ  
მზადდება აქაური ტებილეულობა. რკინის მაყალზედ ტრია-  
ლებს შამფური, შამფურზე აგებულია ცხვრის ხორცის ნაჭრე-  
ბი. ხორცი მოაქვთ პირდაპირ შამფურით, მერე ჩამოილებენ  
მას შამფურიდგან. აქვე იშოვით ფლავს—ეს არის ოსმალოს სა-  
ყარალი საჭმელი. აქვე კიდევ შემწვარი თვეზი, მაწონი. მა-  
გიდას გადასაფარი, ხელის საჭმენდი ტილოები არა აქვთ, არც  
დანები და ჩანგლები. ვერც ნახავთ ლვინოს, არა ყავა, ლუდს.  
ამის მაგივრათ შეგიძლიათ მოითხოვოთ ყავა. საჭმელს და ყა-  
ვას მოგართმევენ პატარა რგვალ მაგიდებზედ. ევროპიელს  
პირველ დანახვაზე უკვირს, როგორ შეუძლია უდანასიანგლოთ  
საღილობა ოსმალოს; მოგიტანებენ მაგალითათ დიდ გაქვარ-  
ტლულ ტაფას, ამ ტაფაზედ მსუქან ყვითელ წვენში დაცუ-  
რავს ხუთი ექვესი კვერცხი, გვერდით დალაგებულია ლავაშე-  
ბი. როგორ უნდა შესჭამო ეს საჭმელი უჩანგლოთ, უდა-  
ნოთ, უკვეზოთ?

ოსმალო ახერხებს ამას. თხელი ლავაში ჩანგლის, დანის  
და კოვზის მაგივრობას უწევს.

სახაშეები, დუქნები, საყავეები სულ უბრალოთ არის  
მოწყობილი. ბაზარშიაც დუქნები ნისაა და სულ სადათ არის  
მოწყობილი. დუქნის წინა ნაწილი წარმოადგენს დახლს, ეს  
დახლი მაგიდის მაგივრობას უწევს პატრონს. იგი გვერდით  
უზის ფეხ-მოკეცილი და ზანტათ ოვალს ადვენებს გამვლელ-  
გამომვლელს.

სავაჭრო საგნები გროვათ ჰყარია დუქნის რომელიმე კუ-  
თხეში.

აქ არის ადგილობრივი ნაწარმოებიც; აბრეშუმის ტანი-  
სამოსი, მოქარებული ნაჭრები, კურქელი; აქვე ნახავთ ევრო-  
პიელ ნაწარმოებასც, რომელიც ფერადობით პბაძავენ აქაურს.

აღმოსავლეთის ქვეყნების ჩვეულებაა, რომ თვითეულ ნა-  
წარმოებს ჰქონდეს ბაზარში განსაკუთრებული ადგილი. აი  
ბიტმაიდანი ე. ი. ტანისამოსის ბაზარი; აგერ მაღმაიდანი —  
სადაც შინაური ცხოველები იყიდება; ატმაიდანი — განსაკუთ-  
რებით ცხენებს ჰყიდიან აქ; შეშის ბაზარი — პალიატმაიდანი;  
ვაჭრობა ამ ბაზრებში სწარმოებს დანიშნულ დღეებში.

ნავთ საღგურებში უმეტესათ ეს დუქნები ბერძნების და  
სომხების ხელშია, იშვიათათ თუ ვაჭრობენ ურიები. მაგრამ  
თუ ანატოლიისაკენ გაემგზავრებით — იქეთკენ ბევრს მოვაჭრე  
ოსმალოს შეხვდებით. სახელოსნოებიც ამათ ხელშია. და მარ-  
თალიც უნდა ვსოდეთ ქრისტიანებზედ ბევრათ პატიოსნები  
და სინიდისიერები არიან. მაშინვე გაარჩევთ ოსმალოს მოვა-  
ჭრეს სხვებისაგან. ბერძნის დუქნებათან ყვირილია, ლანძღვა-  
გინება, მყიდველების შეპატიუება, ძალათ შეთრევა დუქნში.  
ოსმალოს დუქანთან კი სიჩუმეა. შედით ოსმალოს დუქანში.  
იგი გადაგვლებს თვალს, დინჯათ ადგება და უსიტყვოთ მო-  
გაწოდებსთ, რასაც მოითხოვთ. თუ ვაჭრობას დაიწყებთ, ის  
მოგზორდებათ და დაჯდება თავის ადგილის და მხოლოთ  
ერთს სიტყვის გეტყვისთ, რაც ნიშნავს — ვაჭრობა მეტიან. თუ  
ერთხელ გეტყვისთ ფასს, მას ძნელათ შესკვლის; ეს მხოლოთ  
ნამდვილ ოსმალოებს ეხება. იქ სადაც ხშირია უცხო ქვეყნის  
მოგზაურები, რომელიც ფულს უზოგველათ ფლანგავენ, იქ  
ოსმალოებიც მიეჩინენ ვაჭრობას და ეშმაკობას.

საღამოს, როდესაც მინარეთიდან მოისმის მუეზინის  
ლოცვა, ბაზარი ცარიელდება. მალე ბნელდება. ბინდი სულ  
მოკლეს.



ବେଶର୍ଗେଦା ଲୁହନ୍ତର୍ଗେଦିଳ ଦାରୁବ୍ରେଦି; ବାକ୍ଷର୍ଗେଦି ଅଲ୍ପବ୍ରେଦି ନେତ୍ରର୍ଗେଦି  
ଫିଲ କ୍ଷୁଣ୍ଣର୍ଗେଦିଶି; ଦାଢ଼ନ୍ତର୍ଗେଦା, ପ୍ରସାଦ ମିଠିକାରିଳ ସାଥେଲିଶାକ୍ରେଦି; ବୀ-  
ମିଳ ଲାମିଳ ଦାରୁଖାଲି ଦ୍ୱେଳାଯିଲ ଖାଲିଲ ରାଜୁନି କ୍ଷା-ତ୍ରେନିଲିଥ୍ରେଦି.

ଓଶମାଲିଲ ଅନ୍ଦାରିଶିତ ମିଥ୍ର ହାତିଲ ଶର୍ମିଲ 12 ଶାତଚ୍ଛେ. ଦାମ  
ଚିତ୍ତିଲାଦାନ ନିର୍ମିଶା ଲୋକ ଦା ଲାମ୍ବେ—ରନ୍ଧର୍ମେଲିପ ଶ୍ରେଷ୍ଠର୍ଗେଦା ରାଜ୍ୟର  
ତନ୍ତ୍ରମେତ୍ର ଶାତତିଲାନ. ନାମଦ୍ଵାରିଲାତ କି ମିଳିଲ ହାତେଲିଲ ଦରି ପ୍ରା-  
ପ୍ରେଲ ଲୋକ ପ୍ରାପ୍ରେଲ୍ଗେଦା ଦା ଅମିତ୍ରମାତ୍ର ପ୍ରାପ୍ରେଲ୍ଗେଦା ଶାତିଲ ତ୍ରୁଲାତ.  
ନେତ୍ରିନ ଶାତି ପ୍ରାପ୍ରେଲ ଲୋକ ଶ୍ରେଷ୍ଠାଶ୍ରେଷ୍ଠର୍ଗେଦିଲା, ରାଜୁଗାନାତ୍ର ମିଥ୍ର  
ପ୍ରାପ୍ରେଲତିଲି ଗ୍ରାମ ଦା ମିଥ୍ରା ଲୋକି ଏହି ହାତିଲ. ଓଶମାଲିଲ ପ୍ରାପ୍ରେଲ  
ଶ୍ରେଷ୍ଠିଲିଲିଶି ମିଳିଲ ହାତେଲାଚ୍ଛେ ଦା ଅମିଶର୍ମାତ୍ର ଏକେ ଦାମନ୍ତିର୍ଗେଦିଲି:  
ମିଥ୍ରିଶ ଗାମତ୍ତିଲିଲ ମୁହାନଦାଶ, ଲୋକିଲ ଦା ଶାତିଲିନଦିଲ ଦରିଲ. ଓଶମାଲିଲ  
ଶାତାତ୍ମି ମୁହାନଦି ଅନାତିଲ ମିଥ୍ର ଦା ଉଥି ଶିତିଲି ଉଥିଲ ଉଥିଲାନ  
ଶର୍ମିଲି ଦେଇଲା-ମିଠିଶ, ଏହି ଅଦ୍ଵିଲି ଶାକ୍ରେଦି. ଦାଦା-ଶର୍ମିଲିଶି ମିଳିଲ ହା-  
ତେଲିଲିନାନ ଶିତିଲାଶିଲ୍ଲେପ ମିପୁହିଲ୍ଲେଦା, ପ୍ରାପ୍ରେଲାପ୍ରାପ୍ରେଲି ନ୍ଯନାରିଲ୍ଲେଦା:  
ଲୁହନ୍ତର୍ଗେଦି ଶୁରୁବେନ, ପ୍ରାପ୍ରେଲା ମିଯପ୍ରେମା ଲରମା ମିଲିଲ ଗାତ୍ରନ୍ତର୍ଗେଦିଲି.

ଅ. ତ୍ର—ଅଶେ.





## ԵԵՅԱ ՋԱ ԵԵՅԱ ՃԹՅԵԾՈ.

ԱԼՖՈՆՏՈՍ ԱՌԱՄՅԱՅԻ

(ՌԱԺԱՑԻ ԳԱՑՈՒՆՈՂՈ. ԽԱՄԵՐՈՂՈ ՍԵՐ. ՑԵՏԼԱՎՅՑԻ Հ. ՀԵՂԱՋԱՎՈՆՈՍԱԳԱԲ)



Հուսեր ալգաս ցոնեարոցքս,  
մացլո մասարոծցլոսառ!  
— Հոմյըլս ճա հոմյըլսառ,  
հոմյըլս մասարոծցլոսառ?  
— Իզընս մասարոծցլոսառ.  
ցոնեարոս պոցըլմա սյուլմա,  
պոցըլմա սյուլմա, սյուլոյրմա:  
հուրմա, ցորուրմա ճա Շորունմա,  
Շոյք մինդուրմա ճա Շուրուլմա  
սյուպըլամ ցոնեարոսո.

Չ Ա Չ Յ Ո



Չ ռուս, հիմո ճաօաց!  
Ես ամահուցք սմենասա,  
Շեն հիմո ածրո հա ուրո,  
հոմ առ ցապընցք ցնասա?

\* \* \*  
Քիթ ստուբնաչյելա ոյնեծա,  
մոտքրոնցք ամեանցըօ.  
օմատ ցալաւլու հոցուրմյ,  
լամշարո ցուլոս նալցօ.

\* \* \*  
Օ Շեշննոնցք ձարուռնսա,  
ցամուռն լուս կարյեօ,  
մաժոն կո մեօարուլատա  
Շոյօսակյոն ցացըիներյեօ.  
թ. լուլաՇուռողո.



რისტეს აღდგომა ცველაზე აღრე ჭიაყელებმა გაიგეს.  
ჭიაყელებმა თხუნელებს შეატყობინეს, თხუნელებმა  
მინდვრის თავვებს, თავვები ხომ ხშირათ გამოლიან  
სოროებიდან. ამათ კიდევ კურდლლებს და ზაზუნებს უთხრეს  
და ასე მოედო ეს ამბავი მთელ მხეცების სამეფოს.

მეცნიერების ხამ ჩვენსავით არ ელოპარაკებიან ერთმანერთს. ისინი რაღაც სხვანაირათ და სწრაფათ გადასცემენ ერთი მეორეს და ჩვენ ტელეგრაფზე სწრაფათ იგებენ ყველაფერს.

ასე ქრისტეს აღდგომაც მალე გაიგეს და ალაპარაკდენ,  
ყველას უკვირდათ ეს უწნაური ამბავი, მაგრამ როცა გაიგეს,  
რომ ქრისტეს შემდეგ, ყველა ადამიანიც მკვდრეთით აღსდგება,  
ძალიან დაღონდენ და ეწყინათ, თუ კი ადამიანი აღსდგება,  
ჩვენ, ცხოველები, რალა ვართო!

დაიწყეს ცხოველებმა ჯგუფ-ჯგუფათ შეგროვება და ამის  
თაობაზე სჯა-ბასი, უფრო აღდგომა ღამეს შეიკრიბებოდენ  
ხოლო.

ბევრი ილაპარაკეს, მაგრამ მაინც ვერ მიხვდენ თუ აღა-  
მიანი რათა დგას იმათზე მაღლა და თავისი დარღი—ნაღვე-  
ლი შესჩივლეს ანგელოზს. მან პასუხათ უბრძანა: ვინც კეთი-  
ლი იქნება—აღამიანი თუ ცხოველი—ყოველთვის მკედრეთით  
აღსდგება.

306 የሸጋዊ አገልግሎት



დამიანდა თავისი გამოყონილი ჰაერობლანით აჯობა  
ყველაზე მარტ ფრინველს. ყვავი საათში მიღერინავს  
140 ვერსტს, გარეული იხვარის და კულტურული ყველაზე მარტი  
ფრინველია 280 ვერსტს მიღონავს. ჰაერობლანი კი ასწრებს  
ყველას. ფრინვლები ჩამოეცულიან ხოლმე ამათ.



ОТКРЫТА ПОДПИСКА НА 1915 ГОДЪ

на ежедневную газету

# „КАВКАЗСКОЕ СЛОВО“



Адресъ редакціи и конторы: Тифлисъ, Барятинская, 6.

## Подписная цена на газету:

для город. подписчиковъ	для иногороднихъ
на 1 годъ . . . 7 р. — к. . . . .	8 р. 50 к.
на 6 мѣс. . . . 4 „ — „ . . . . .	5 „ — „
на 3 мѣс. . . . 2 „ — „ . . . . .	2 „ 50 „
на 1 мѣс. . . . — „ 80 „ . . . . .	1 „ — „

ПЛАТА ЗА ОБЪЯВЛЕНИЯ: за строку петита—для мѣстныхъ объявленій—до текста—12 коп., послѣ текста—6 коп., для иногороднихъ объявлений—25 коп. и 12 коп. За многократныя объявленія скидка.

Редакторъ: Ю. ф. Семеновъ.

Издатель: Тифлисское Т-во Печатного Дѣла.

---

თბილისის წიგნის მაღაზიებში და ვეტორთან (ობადვისა, ბარია-  
თანისკის ქუჩა, 6) ისყიდება:

## Характеристики и воспоминанья

Кн. Г. М. Тумановъ.

სამი ნატოლი, ფასი თლით ნატოლია—50 კ.

შინაარსი: გ. წერეთელი.—თ. დავ. ერისთავი.—ვ. ჩერ-  
ჭებიშვილი.—ა. ხახანაშვილი. ვ. პეტრიაშვილი.—ა. ყაზბე-  
გი.—თ. რაფ. ერისთავი.—ნ. ბარათაშვილი.—თ. ვახტ. ორ-  
ბელიანი.—ზ. ანტონვი.—ლ. არდაზიანი. —ი. ნინოშვილი.  
—გ. სუნდუკიანცი.—ა. ცაგარელი.—თ. ილ. ჭავჭავაძე.—  
ჭართული თეატრის ისტორიიდან. რუსის და სომხის მწერ-  
ლები და სხვა მოღვაწეები ჩვენში, და სხვ.

3/57



# კეპილი

საუმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი  
ოცდა მეექვე წელიცადი.

თებერვალი დაარსებულია 1890 წელს.

---

გამოვა 1915 წ. თვემი ერთხელ, ჟურნალი თორი  
განკუთვილებაა, პატიოლუბისათვის და მოზრდილთათვის.  
შურნალი «ჯეჯილი» თბილისში ედირება  
4 მან., ქალაქ გარეთ (გაგზავნით) 5 მან.  
ნახევარი წლით 3 მან., ცალკე ნომერი 40 ქან.

ხელის მოწერა მიიღება: თბილისში—«ჯეჯილის» ოფიციაში,  
(არტილერიის ქუჩა, № 5.)

ფოსტის აღრესი: Въ тифлисъ въ Ред. Грузинскаго дѣтскаго  
журнала „Джеджили“